# ბაღდადის მისადგომებთან კოალიციის ძალებმა გაანადგურეს დივიზია „ბაღდადი“



## ოპერაცია „თავისუფალი ერაყი“: დღე მეთოთხმეტე

### დიქტატორის ბედი

მართლაც, – რა პერსპექტივა? სადამ ჰუსეინისთვის რომ ეკითხათ, უთუოდ უპასუხებდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მისი კერპის – უინსტონ ჩერჩილის მსგავსი ბედი ეწეოდა. ცნობილია, რომ ჩერჩილმა 1941 წელს ნაცისტების შემოტევას გაუძლო და გაიმარჯვა კიდეც დიდი სამეულის შემადგენლობაში.

აშშ კვლევითი ცენტრები და სამხედრო ექსპერტები ერაყის ლიდერის პოლიტიკური სარბიელიდან წასვლის 8 ვარიანტს განიხილავენ.

სლობოდან მილოშევიჩის ვარიანტი. იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც კოსოვოს კონფლიქტში ნატომ დაამარცხა, ბელგრადის ახალმა დემოკრატიულმა მთავრობამ 1999 წელს ბალკანეთში ჩადენილ დანაშაულობათა გამოსაძიებლად გაეროს მიერ შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცა.

იხ. მე-2 გვ.

წუხელ ცნობილი გახდა, რომ ანტიერაყული კოალიციის ჯარებმა ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს სადამ ჰუსეინის არმიის ერთ-ერთი ელიტარული დივიზია „ბაღდადი“. ერაყის დედაქალაქამდე 30-50 კილომეტრი დარჩა. ინფორმაციული წყაროები იტყობინებიან, რომ ალყაში არის მოქცეული კიდევ ორი ელიტარული დივიზია „მედინა“ და „ნაბუქოდონოსორი“.

წუხელ ვარაუდობდნენ, რომ ბაღდადზე შეტევა უახლოეს საათებში დაიწყება.

* * *

ერაყის ომში აშშ ოფიციალური დანაკარგებია: 47 – დაღუპული სამხედრო მოსამსახურე (აქედან 39 კაცი ბრძოლაში დაიღუპა, 8 – სხვადასხვა ინციდენტში) 7 – ტყვე, 16 – უგზოუკვლოდ დაკარგული.

* * *

ამერიკელებმა ააფეთქეს მილსადენი, რომლითაც ერაყის ნავთობი სირიაში მიედინებოდა. ირანის სააგენტო IRNA მიიჩნევს, რომ აშშ ამით აფრთხილებს სირიას, რომელიც აშშ თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ერაყისათვის იარაღის მიწოდებაში დაადანაშაულა.



„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“


„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“ The Georgian Railway Ltd

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №87 (4466) ხუთშაბათი, 3 აპრილი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.


## კონტრაბანდის წინააღმდეგ

### ჰოლანდიური ყვავილები ბათუმიდან

მკითხველს კვლავ ვთავაზობთ მორიგ ინფორმაციას პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უშიშროების სამინისტროს და საგანგებო ლეგიონთან ერთობლივად განხორციელებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის უკანონო ბრუნვის აღკვეთას.

23 მარტს შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს გურიის სამხარეო პოლიციის შესაბამისი განყოფილების, საგანგებო ლეგიონის, უშიშროების სამინისტროს ფოთის სამსახურისა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოზურგეთის რაიონის სოფელ შეკვეთილში გამავალ საავტომობილო გზაზე ამხილეს ქუთაისში მცხოვრები ჯუმბერ რუხაძე, რომელსაც ბათუმიდან ქუთაისში გადაჰქონდა 800 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამშენებლო მასალა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, რუხაძე დააჯარიმეს 300 ლარით.

24 მარტს იქვე გააჩერეს რუსთავში მცხოვრები ავთანდილ წაქაძე, რომელსაც ბათუმიდან თბილისში გადაჰქონდა 1800 ლარის ღირებულების მიკროავტობუს „მერსედესის“ 6 ძრავი და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმში მცხოვრები ანზორ ბაკურაძე, რომელსაც გადაჰქონდა 675 ლარის ღირებულების ჰოლანდიური ყვავილი „ჰერბერი“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად წაქაძე და ბაკურაძე დააჯარიმეს შესაბამისად 856 და 147 ლარით.

იხ. მე-2 გვ.

## ალმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

### რად სჭირდებათ დეპუტატებს ხელშეუხებლობის იმუნიტეტი?



#### „ფულიანი ტომრები“ გეზს პარლამენტისკენ იღებენ

არჩევნები რომ საზოგადოების დემოკრატიულობის ერთ-ერთი თვალშისაცემი მაჩვენებელია, ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ რატომღაც ჩვენს სინამდვილეში კაცობრიობის ამ მართლაც დიდ მონაპოვარს ისეთი დამანგრეველი თვისება აღმოაჩნდა, რომ ერთობ შეცბუნებულები გახლავართ. თუმცა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოჭარბებული მუქი ფერების დამთრგუნველი ტვირთი ბოლო დღეებში უსაშველოდ დაგვიანებული გაზაფხულის ჯერ კიდევ მორცხვმა ნიშნებმა ცოტა მაინც შეგვიმსუბუქა. სხვათა შორის, ასეთი განწყობა 2 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გამართულ მთავრობის მორიგ სხდომაზეც შეიმჩნეოდა.

მთავრობამ განიხილა კანონპროექტების პაკეტი ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (ქვეყანაში მოქმედი იმუნიტეტის სისტემის ნაწილობრივი შეზღუდვის თაობაზე), რომელიც წარმოადგინა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ ეზუღბაიამ.

საკითხი მართლაც რთული და შრომატევადი აღმოჩნდა. საკმარისია ითქვას, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ცხრა კანონში.

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი

**ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციისათვის, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში, საქართველოში სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სპორტის საპატიო ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

## მილოცვა

### ჯანო ბაგრატიონს დაბადების 65 წელთან დაკავშირებით

ჩემო ჯანო,

დაბადების დღეს მოგილოცავ სახელოვანი ქართული გვარის წარმომადგენელს, დიდი ჯანო ბაგრატიონის ღირსეულ შვილს.

ბედნიერი კაცი ხარ.

შენ წლების მანძილზე გვატკბობდი სიმღერით და გვახარებდი სპორტული წარმატებებით. ახლა მომავალ თაობას ეხმარები გამარჯვებათა მიღწევაში.

კიდევ ერთხელ გილოცავ ამ საიუბილეო თარიღს და ბედნიერებას გისურვებ შენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

## გიხაროდენ!

### ოჯახის პირველი სიხარული

ნინო ქობესაშვილს და გია წიწილაშვილს პირველი შვილი შეეძინათ – თათია. ნინომ აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში იმშობიარა. იგი მადლობას მოახსენებს ამ ინსტიტუტის სამედიცინო პერსონალს, სადაც აკადემიკოს პალიკო კინტრაიას ხელმძღვანელობით ყველა რთულ სამედიცინო შემთხვევას ღრმა მეცნიერული ანალიზი უკეთდება.



პროფესიული სამედიცინო პერსონალის ყურადღება არ მოკლებია ჩვილ თათიას და მის დედას. ისინი ინსტიტუტიდან ჯანმრთელი გაეწერნენ და ოჯახმა თავისი პირველი სიხარული – თათია, დალოცა კიდეც!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## რეპორტაჟი ბაზრიდან

### ღარიბი მეზობელი

#### ნავთლუღის ბაზარი გაკოტრების პირზეა

იხ. მე-8 გვ.

## ბიზნესი

### მთავრობაზე ყველაფრის გადაბრალების ნაცვლად ბადრი პატარკაციშვილი ახალი ფორმების შემოღების მომხრეა

„მეწარმეთა დევნა, შევიწროება და ბიზნეს-გარემოს გაუარესება უნდა შეწყდეს“. სწორედ ამ დევიზით გამოვიდნენ გუშინ გადამხდელთა კავშირში შეკრებილი ბიზნესმენები. მათ ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და მათგან თავის დაღწევის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიზნესმენებზე ზეწოლა ტოტალურ ხასიათს ღებულობს, მათ ირგვლივ იქმნება არაჯანსაღი გარემო. „საქართველოში ბიზნესმენებს აშანტაჟებენ, ემუქრებიან, ავრცელებენ ყოვლად ბინძურ ჭორებს, სახელს უტეხენ მათ საზოგადოების თვალში. ბიზნესის რბევაში შევიწროებასა და რეკეტში თავად სახელმწიფო სტრუქტურები მონაწილეობენ.

იხ. მე-2 გვ.



## დღის ანეკდოტი

მათ უცებ შენიშნეს უცნაურად გამოწყობილი ერაყელი, რომელიც თეთრი მზით გახურებული უდაბნოს მხრიდან ამერიკელთა ტანკების კოლონას უახლოვდებოდა. იფიქრეს, გაგიჟებულაო საწყალი დაბომბვებისგან და მიხეტიალობს, თვითონ არ იცის საითო.

შეეცოდათ და გადაწყვიტეს, წაეყვანათ საველე ლაზარეთში და ემკურნალათ.

... მოგვიანებით საშინელ აფეთქებას გადარჩენილი ერთადერთი სამხედრო ყვებოდა, რომ ერაყელი შაჰიდი, რომელმაც ამერიკელთა მთელი ავანგარდი ამოწყვიტა, განუწყვეტლივ იმეორებდა უცნაურ საბრძოლო შელოცვას: Zdravstvujte, lubjeznaya moia Katerina Matveevna...

## ინფორმაცია

### ამტკიცებენ, საზღვარზე 100-მდე ბოევიკი იმყოფებაო

საქართველო-რუსეთის საზღვარზე 100-მდე ბოევიკი იმყოფება. ამის შესახებ გუშინ ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გაერთიანებული ჯარების მეთაურის მოადგილემ საინფორმაციო პოლიტიკის საკითხებში, პოლკოვნიკმა იური კოსტროვეცმა განაცხადა. ეს ინფორმაცია გუშინ სააგენტო „იტარ-ტასმა“ გაავრცელა.

საქართველო-რუსეთის საზღვარზე 100-მდე ჩეჩენი ბოევიკის ყოფნის ფაქტს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი კატეგორიულად უარყოფს.

### გადაწყვეტილების მიღება გადაიდო

თბილისის საოლქო სასამართლო გუშინ მთელი დღის მანძილზე 24 მარტს ისნის სამხედრო ნაწილში მოწყობილ ამბოხებაში ეჭვმიტანილი ვეტერანების საჩივარს განიხილავდა. ყოფილმა მებრძოლებმა გაასაჩივრეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის 27 მარტის ბრძანება, მათთვის აღკვეთის ღონისძიებების სახით სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

განსახილველი საქმის მოცულობის სიდიდის გამო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღება დღეისათვის გადადო.

### გზაზე მოძრაობა აღდგა

თბილისი-სენაკის საავტომობილო გზაზე მოძრაობა მას შემდეგ აღდგა, რაც აქციის მონაწილეებს რეგიონის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები შეხვდნენ. მოთხოვნა, რომ საპროტესტო აქციაზე შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მისულიყო, არ შესრულდა, მაგრამ აქციის მონაწილეთა დაშლა ადგილობრივმა ძალოვნებმა მაინც შეძლეს.

აქციის მონაწილეები და ძალოვნები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს დამნაშავეთა დაკავება, რომლებმაც ორი დღის წინ სოფელ ქვემო არცევში ყაჩაღური თავდასხმის დროს მამაშვილი გურამ და შალვა საბაშვილები მოკლეს.

### ქოქოითი თავის ძალოვან სტრუქტურებს აფრთხილებს

ცხინვალის რეგიონში არსებული მწვავე კრიმინოგენურ მდგომარეობასთან დაკავშირებით თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედვარდ ქოქოითიმ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობისადმი მიძღვნილ სპეციალურ სხდომაზე აღნიშნა, რომ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას არ შესწევთ ძალა, აღკვეთონ მშვიდობიან მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმები, რომლებიც რეგიონში ორ ხალხს შორის არსებული კონფლიქტის ესკალაციას ისახავს მიზნად... სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, განხორციელდეს ღონისძიებები მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა, საქინფორმმა

## ფეხბურთი



ვაკის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა „ევრო-2004“-ის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩი საქართველო-შვეიცარია. შეხვედრის შედეგია 0:0.

## კრიმინალი და საზოგადოება

### სენი მხოლოდ სწორი დიაგნოზით განიკურნება

იხ. მე-5 გვ.

## უკანასკნელ საათს

აშშ თურქეთის ჯარის ერაყის ქურთისტანში შესვლის წინააღმდეგია, სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი აცხადებს: ამერიკა დაინტერესებულია შეთანხმების მიღწევით, რომ თურქეთმა თავისი ჯარი არ გაგზავნოს ერაყის ქურთებით დასახლებულ ჩრდილოეთ რაიონშიო.



უმ-კასრის მახლობლად ერაყელი სამხედრო ტყვეების ბანაკი იქმნება. ბანაკი 100 ათას კაცზეა გათვლილი. მას ბრიტანელები აშენებენ. ზოგიერთი მონაცემებით, იქ უკვე იმყოფება ათასობით ტყვე, რომლებსაც ყოველდღიურად 500 კაცი ემატება.



## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში** სუსტი ქარი. დაბლობში ღამით $+4^0$, დღისით $+15^0$, მთაში ღამით $-2^0$, დღისით $+8^0$, მაღალ მთაში ღამით $-5^0$, დღისით $+1^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ქარი 10-15 მ/წმ. ბარში ღამით $+3^0$, დღისით $+14^0$, მთაში ღამით $-4^0$, დღისით $+8^0$. მაღალ მთაში ღამით $-6^0$, დღისით $-2^0$.

**თბილისი** – ქარი 10-15 მ/წმ. ღამით $+3^0$, დღისით $+14^0$.

## ლარის კურსი

2 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.3714 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1350 ლარი |
| ევრო | 1 | 2.3252 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0682 ლარი. |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვცხოვრობ რაიონში 1998 წლიდან დღემდე. საერთო ჯამში მიუღებელი მაქვს ერთი წლისა და 7 თვის პენსია.

გთხოვთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მაცნობოთ, როდის მოხდება გაუცემელი პენსიების გაცემა?

ნუგზარ ცომაია.

– დაფინანსების წყაროს უქონლობის გამო, გასული წლების საპენსიო დავალიანების გაცემა დროებით შეჩერებულია.

შემდგომში აღნიშნულ საკითხზე კონკრეტული პასუხის მისაღებად, გირჩევთ მიმართოთ სოციალური უზრუნველყოფის ერთიან საპენსიო ფონდს. (თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი 144).

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## ინტერპანორამა

15 კუბელმა ბორანი გაიტაცა და აშშ-ში გაიქცა. უკანასკნელ დღეებში ეს კუბის სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების მეორე შემთხვევაა. ამჯერად ბორანი გაიტაცეს 14 მგზავრთან ერთად.




სამხრეთ კორეა ერაყში თავის ჯარს გზავნის. 700-მდე სამხედრო ინჟინერ-მშენებელი და ექიმი მონაწილეობას მიიღებს ომის შემდგომ აღდგენით სამუშაოებში და ლტოლვილთა დახმარებაში.



ბორის ბერეზოვსკის დიდ ბრიტანეთში პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრეს. ეს გადაწყვეტილება ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 28 მარტს მიიღო, მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. გუშინ ლონდონის სასამართლომ ბორის ბერეზოვსკი და იული დუბოვი თითოეული 100 ათასი გირვანქა სტერლინგი გირაოს საფასურად დატოვა თავისუფლებაში.



„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

## აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# რად სჭირდებათ დეპუტატებს ხელშეუხებლობის იმუნიტეტი?

**პირველი გვერდიდან**

მათ შორის, კერძოდ, ისეთებში, როგორიცაა საკანონმდებლო აქტები „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, „საერთო სასამართლოების შესახებ“, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“. როგორც აღინიშნა, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია „ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 აპრილის განკარგულებით დამტკიცებული ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

ამ საკითხის განხილვისას განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა იმუნიტეტების პრობლემა. ეს სისტემა სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში მკაცრად განსაზღვრავს კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპს. ამავე პათოსს იზიარებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლიც. მიუხედავად ამისა, ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე იმუნიტეტი, როგორც თანამდებობის პირის სრული ხელშეუხებლობის გარანტია მთელ რიგ შემთხვევებში მოქმედების მეტისმეტ თავისუფლებად და პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებად მოიაზრება. ამდენად, ითქვა სხდომაზე, საქართველოში იმუნიტეტების სისტემის სრულყოფა სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს განეკუთვნება, რადგანაც იგი უშუ- [illegible] გის მოხსნის კრიტერიუმს უფლებამოსილი ორგანოს მიერ სათანადო მოთხოვნის განხილვის პროცესში, აგრეთვე, უზრუნველყოფენ იმას, რომ გადაწყვეტილებები მიღებული იქნება გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე. გარდა ამისა, რეკომენდაციის ერთ-ერთი პუნქტი მოითხოვს გაუქმდეს უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის მიღების წესი იმუნიტეტით მოსარგებლე თანამდებობის პირის დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევაში.

სწორედ ამ რეკომენდაციათა ფარგლებში წარმოადგინეს სხდომაზე წინადადებები, რომლებიც იმუნიტეტების სისტემის გადასინჯვას ითვალისწინებდა. გამოითქვა აზრი, რომ ასეთი ცვლილებების განხორციელება გამოიწვევს შესაბამისი კორექტივების შეტანას კონსტიტუციაშიც. გადაწყდა, რომ საჭიროა კვლავ გაგრძელდეს წარმოდგენილი კანონპროექტების პაკეტზე მუშაობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მისი საბოლოო განხილვა.

მთავრობამ განიხილა და მოიწონა ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც წარმოადგინა ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ. [illegible] კროეკონომიკური პარამეტრების ამსახველი სურათის დამახინჯებას და სერიოზულ პრობლემებს უქმნის სახელმწიფოს, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას.

როგორც სხდომაზე ითქვა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების გზების ძიებისას, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების რეალური შეფასება, დადგინდეს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და მისი თანამდევი კორუფციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ამ მიზეზთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა ქვეყანაში შექმნილი ეგრეთ წოდებული პოსტკონფლიქტური ზონების არსებობა და მთლიანობაში ეკონომიკური საზღვრების გაკონტროლების დაბალი ხარისხი, რის გამოც ქვეყნის შიდასამომხმარებლო ბაზარზე აღწევს დიდძალი კონტრაბანდული პროდუქცია და ადგილობრივი მეწარმე, არასამართლიანი კონკურენციის პირობებში იძულებული ხდება თავი აარიდოს გადასახადების გადახდას. ეს კი თავისთავად ხელს უწყობს კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის ზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს ტოტალიტარული სისტემის იდეოლოგიური მემკვიდრეობის იმ ნეგატიური ზემოქმედების ფაქტორი, რომელიც ვლინდება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე კერძო სექტორში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოებაში კორუფციის მიმართ გაბატონებული შემგუებლური განწყობა, ბიზნესმენთა მზადყოფნა გაიღონ ქრთამი გადასახადების თავიდან არიდების მი- [illegible]



განიზაციის საკითხს, რომლის აუცილებლობაც, როგორც მან მიუთითა, უკვე დიდი ხანია მომწიფდა. მითუმეტეს, რომ შესაბამისი პროგრამა უკვე შემუშავებულია და ახლა დაგვრჩა განვსაზღვროთ მისი განხორციელების ვადები.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მაია ცაცანაშვილის ინფორმაცია „საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფისა და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 26 თებერვლის №193 განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“. საკითხი, როგორც მოგეხსენებათ, ფრიად აქტუალურია, [illegible] ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ არჩევნები უნდა გაიმართოს სამაგალითოდ და ამ საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სამხარეო, საქალაქო და რაიონულმა ადმინისტრაციებმა.

დასასრულ, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სხდომის მონაწილეების ყურადღება მიაპყრო პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ამომრჩეველთა მოსყიდვასთან. მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ უკვე ასეთი ქმედება მასობრივ ხასიათს ატარებს და საჭიროა ზომების მიღება საიმისოდ, რომ მომავალ პარლამენტში მოვიდნენ არა „ფულიანი ტომრები“, არამედ ის ადამიანები, რომლებსაც მართლაც სურთ ემსახურონ ქვეყანასა და ხალხს, და ხელეწიფებათ კიდეც ეს. სხვანაირი პარლამენტი ვერ შეასრულებს იმ უზარმაზარ სამუშაოს რომელიც მას ელის მომავალში.

საჭიროა, აგრეთვე, უზრუნველვყოთ სხვა ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების საარჩევნო უფლების რეალიზაცია.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა.

ბოლოს, შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ გააკეთა განცხადება 7 აპრილს ჯანმრთელობის დღესთან დაკავშირებით, რომლის დევიზი ამჯერად არის „გაუფრთხილდით ბავშვებს“. მან მოუწოდა თანამემამულეებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიებებში.

**თენგიზ გრიგალაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 აპრილი — ქ. თბილისი

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პრაქტიკული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები:

**ღირსების ორდენით:**

**ვიქტორ ზარქუა** — სოხუმის ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიული კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **გიორგი კუტუბიძე** — ჩოხატაურის რაიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი; **თენგიზ მჟავია** — ოზურგეთის ცენტრალური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიის განყოფილების გამგე; **ავეტიკ ტონაკანიანი** — ახალქალაქის რაიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი; **დავით ჩანტლაძე** — ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი; **ავთანდილ ხითარიშვილი** — საქართველოს დამსახურებული ექიმი (ქ. გორი).

**ღირსების მედლით:**

**გულნარა ოსეფაიშვილი** — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის საავადმყოფო-პოლიკლინიკის“ დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში; **ვაჟა ცირეკიძე** — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის საავადმყოფო-პოლიკლინიკის“ სამეანო გინეკოლოგიური განყოფილების გამგე.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 აპრილი — ქ. თბილისი

**გიორგი გელაშვილის, შოთა მელიქიძისა და დავით შენგელიას ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

რეგიონში ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება-განვითარებასა და მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ზრდაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ ბორჯომის რაიონის ფერმერები:

**გიორგი გელაშვილი** — სოფელ გუჯარეთის გლეხური მეურნეობის ხელმძღვანელი; **შოთა მელიქიძე** — სოფელ ბალანთას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პეგასის“ ხელმძღვანელი; **დავით შენგელია** — სოფელ გვერდისუბნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „ფარაონის“ პრეზიდენტი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## პოზიცია

### საქართველო გმობს ერაყის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს

**საქართველოში შეშფოთებით ადევნებენ თვალს ერაყის რეჟიმის მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებისა და სამხედრო დანაშაულობათა ფაქტებს.** როგორც ცნობილია, მსგავსი დანაშაული სისტემატური ხასიათისაა და ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერაყის რეჟიმმა ათიათასობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რაც არ შეიძლება სერიოზულად არ აღშფოთებდეს საერთაშორისო გაერთიანებას, მათ შორის საქართველოს.

საქართველო გმობს საომარ პირობებში ერაყის რეჟიმის მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულობებს და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს, რადგან მსგავსი მოქმედება ეწინააღმდეგება ჟენევისა და ჰააგის კონვენციებს.

**საქინფორმი.**

### რუსი კომპოზიტორის ხსოვნას მიეძღვნა

ცნობილი რუსი კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის გარდაცვალებიდან 50 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, თბილისის კონსერვატორიის დიდ სცენაზე კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა.

კონცერტზე სერგეი პროკოფიევის, პეტრე ჩაიკოვსკის, ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები შესრულდა. საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს გერმანელი დირიჟორი უვე ბერკემერი ხელმძღვანელობდა. სოლო პარტია ლიანა ისაკაძის სტიპენდიანტმა მევიოლინე გივი ნასარიძემ შეასრულა. ახალგაზრდა მევიოლინემ დამსახურებულად მოიპოვა მუსიკათმცოდნეების მოწონება.

### იმუნიტეტის მოხსნას საკუთარი ნებით არ აპირებს

სამართალდამცველმა ორგანოებმა პარლამენტს თხოვნით მიმართეს იმის თაობაზე, რომ პარლამენტის წევრს, „საქგაზის“ ყოფილ ხელმძღვანელს დავით ბეჟუაშვილს მოუხსნან დეპუტატის იმუნიტეტი.

დავით ბეჟუაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ „საქგაზის“ ხელმძღვანელობის პერიოდში მან დიდი ოდენობით გადასახადები დაუმალა სახელმწიფო ბიუჯეტს. ამასთან დაკავშირებით, დეპუტატმა 2 აპრილს საგანგებო ბრიფინგი გამართა. როგორც მან თქვა, ბუნებრივ გაზზე ტარიფის ყველა ცვლილება შეთანხმებული იყო შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან — ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან.

### ვინ ახდენს დივერსიების პროვოცირებას?

როგორც ცნობილია, ამას წინათ დაუდგენელმა პირებმა „ხრამჰესის“ დანაღმვის იმიტაცია გაითამაშეს. ამასთან დაკავშირებით, ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დივერსია გარკვეული ჯგუფების ინსპირირებულია იმ მიზნით, რომ შეამოწმონ პოლიციის ოპერატიულობისა და პასუხისმგებლობის დონე, რათა შემდგომ უკვე ნამდვილი დივერსიები განახორციელონ ქვეყნის ენერგეტიკულ ობიექტებზე.

### ქალები მშვიდობისკენ მოგვიწოდებენ

მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა სამხრეთ კავკასიის კოალიციამ მიიღო მიმართვა მსოფლიო გაერთიანებისადმი. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 19 წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ქალები მსოფლიო გაერთიანებას მოუწოდებენ მშვიდობისათვის: „ჩვენ, სამხრეთ კავკასიის ქალები, რომლებმაც გადავიტანეთ საომარი კონფლიქტების ყველა სიმძიმე, მტკიცედ მოვუწოდებთ მსოფლიო გაერთიანებას მოახმაროს მთელი ძალისხმევა ერაყის კრიზისის მოგვარების პოლიტიკური გზების ძიებას... გვწამს, რომ ვერანაირი საბაბი ვერ გაამართლებს საომარ მოქმედებასა და გარდუვალ მსხვერპლს“. მიმართვის ავტორები სთხოვენ ყველა ქალს შეუერთდნენ ამ მოწოდებას.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## ოპერაცია „თავისუფალი ერაყი“: დღე მეთოთხმეტე

# დიქტატორის ბედი

**პირველი გვერდიდან**







თუ სადამ ჰუსეინს ასეთი ბედი უწერია, ეს პროცესი სერიოზული გაფრთხილება იქნება სხვა დიქტატორებისთვის, ვინც საერთაშორისო ტერორიზმთან არის დაკავშირებული. აშშ-ს ეს ვარიანტი განსაკუთრებით ხელს აძლევს.

**უსამა ბენ ლადენის ვარიანტი.** ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამხობიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის დამკვეთი ჯერ ისევ ცოცხალია და იმალება. თუ სადამ ჰუსეინიც შეძლებს ომში დამარცხების შემდეგ „აორთქლებას“, ეს სრული გამარჯვება არ იქნება არც აშშ-სთვის, არც მსოფლიო თანამეგობრობისთვის. ეს „უარესი სცენარი იქნება“, — განაცხადა აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა გენერალმა პერი სმითმა.

**ჩე გევარას ვარიანტი.** კუბის გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ლათინური ამერიკის მოჯანყეთა ლიდერის ჩე გევარას პიროვნება, რომელიც ბოლივიელმა პოლიციელებმა დაცხრილეს, იმპერიალიზმთან ბრძოლის სიმბოლოდ აღიარეს. ანალოგიური ფინალი სადამ ჰუსეინს ისლამური სამყაროს ფუნდამენტალისტებისა და ტერორისტების წამებულ სიმბოლოდ აქცევდა.

**იდი ამინის ვარიანტი.** უგანდის ეს დიქტატორი-კანიბალი 1979 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაამხეს და მას შემდეგ საუდის არაბეთშია გადახვეწილი. მისი სახელი პრაქტიკულად დავიწყებულია, უგანდა კი აშშ-სადმი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეგობრულად განწყობილი აფრიკული ქვეყანა გახდა. სადამი გადასახლებას რომ დათანხმებულიყო (რასაც ვაშინგტონი, ასევე, რუსი და არაბი შუამავლები ურჩევდნენ), მაშინ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა. ექსპერტები საბოლოოდ მაინც არ გამორიცხავენ სადამ ჰუსეინის წასვლას ამინის ვარიანტით. ისინი ვარაუდობენ, რომ, თუ ომი გაჭიანურდა, სადამ ჰუსეინის „ახლო წრეში“ უეჭველად გაჩნდება ოპოზიცია, რომელიც მოკავშირეებს ვაშინგტონისადმი კეთილგანწყობილ მთავრობას შესთავაზებს სადამ ჰუსეინისათვის სიცოცხლის შენარჩუნებისა და მთელი ერაყის მიერ ახალი მთავრობის აღიარების სანაცვლოდ და საფასურად.

**ჰიდეკი ტოჯიოს ვარიანტი.** ეს გენერალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს სათავეში ედგა იაპონიას, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა და 1948 წლის 23 დეკემბერს სიკვდილით დასაჯეს. ეს მილოშევიჩის სცენარისგან იმით განსხვავდება, რომ მაშინ დამნაშავეებს განსჯიდნენ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულნი ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენელთა გარეშე. ნიურნბერგის სტილის პროცესების გამეორება დღეს გამოიწვევდა არაბული და ისლამური სამყაროს ნეგატიურ რეაქციას.

**ადოლფ ჰიტლერის ვარიანტი.** ნაცისტი დიქტატორი იფიცებოდა, რომ ბოლომდე იბრძოლებდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ საათებში თავის ბუნკერში თავი მოიკლა. თუ სადამი მას მიბაძავს, მაშინ, სამხედრო ექსპერტთა აზრით, ეს მიზანშეწონილი იქნება პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან სამხედრო ლიდერის თვითმკვლელობა სულმოკლეობის აქტია, რაც ხელს შეუშლის ეროვნულ გმირად მის შერაცხვას. ასეთივე სულმოკლეობის მაგალითია გერმან გერინგის თვითმკვლელობაც იმ დღეს (1946 წლის 15 ოქტომბერი), როცა იგი სიკვდილით უნდა დაესაჯათ.

**ბენიტო მუსოლინის ვარიანტი.** ფაშიზმის კრახისა და მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ იტალიელ ფაშისტთა ლიდერი გაქცევას შეეცადა, მაგრამ იგი პარტიზანებმა იცნეს და სიკვდილით დასაჯეს. ასეთივე ბედი ეწია რუმინეთის დიქტატორს ნიკოლაე ჩაუშესკუს — მისი ქვეყნის მოქალაქეებმა ათეულობით წლის ტირანიისათვის იძიეს შური. ასეთი ფინალი, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს ვაშინგტონს.

**ისოროკუ იამამოტოს ვარიანტი.** სწორედ ეს იაპონელი ადმირალი ხელმძღვანელობდა პერლ-ჰარბორზე უეცარი თავდასხმის ოპერაციას 1941 წლის 7 დეკემბერს. ეს ოპერაცია, როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომში აშშ ჩაბმის მიზეზი გახდა. იამამოტო 1943 წლის 18 აპრილს დაიღუპა, როცა თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა, ამერიკულმა ავიაგამანადგურებელმა წყნარი ოკეანის თავზე ჩამოაგდო. ვაშინგტონში ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ ამერიკელებმა უნდა მოსპონ ჰუსეინი მიმდინარე სამხედრო ოპერაციის დროს.

* * *

**როგორ იმოქმედებს ამ ვარიანტებიდან ნებისმიერის განხორციელება ჯერ კიდევ შემორჩენილ დიქტატორებზე, არავინ უწყის. თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად ისინი ან უფრო დამყოლნი გახდებიან ან უფრო შეურიგებელნი.**









**მოამზადა არმაზ სანებლიძემ.**

## ბიზნესი

# მთავრობაზე ყველაფრის გადაბრალების ნაცვლად ბადრი პატარკაციშვილი ახალი ფორმების შემოღების მომხრეა

**პირველი გვერდიდან**

დარბეულია და დაყაჩაღებულია არა მარტო მცირე ბიზნესი, არამედ ქვეყნის წამყვანი ბიზნეს-სტრუქტურები და მეწარმეებიც კი“, — განაცხადა ლეკიშვილმა და დასძინა, რომ ძალზედ შემაშფოთებელია უმადურობისა და ცილისწამების ტალღა, რომელიც ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ აგორდა.

ბიზნესმენებმა შეხვედრაზე ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზეც გაამახვილეს ყურადღება, რაც 1 აპრილიდან ტელეეთერში ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს ნაწარმის აკრძალვას გულისხმობს. ამ ფაქტს ბიზნესმენებმა მეწარმეობის ინტერესების სრული იგნორირება უწოდეს.

ალკოჰოლური კომპანია „ჯი-ვი-ეს“-ის ხელმძღვანელის, საკრებულოს წევრის ლევან გაჩეჩილაძის თქმით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ჯეროვნად არ არის განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, რეკლამების აკრძალვა ყოვლად მიუღებელია.

„როდესაც აღმოიფხვრება კორუფცია, შავი ბიზნესი, ფალსიფიკაცია, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი. მსგავსი სახის აკრძალვები. გარდა იმისა, რომ შექმნილი სიტუაცია ფალსიფიკატორების წისქვილზე ასხამს წყალს, მასმედიისთვისაც ძალზედ საზიანოა, მნიშვნელოვნად დაიკლებს მათი, შემოსავლები“, — თქვა გაჩეჩილაძემ.

ამავე აზრს გამოხატავს საქართველოს თამბაქოს წარმოების კომერციული დირექტორი თეიმურაზ მიქაბერიძე.

მისი თქმით, რეკლამების აკრძალვა მნიშვნელოვნად ლახავს მომხმარებლის ინტერესებს. „ბაზრის 65 პროცენტი კონტრაბანდულ საქონელს უჭირავს. მასთან საბრძოლველად კი საჭირო იყო რეკლამა. ჩვენ ვეღარ შევძლებთ მათ ინფორმირებას ნამდვილი პროდუქციის შესახებ. ისინი ორიენტირებული იქნებიან ფასის მიხედვით. კონტრაბანდული საქონლის ფასი კი ათჯერ იაფია“, — აღნიშნა მიქაბერიძემ.

გადამხდელთა კავშირის თანათავმჯდომარის ვანო ჩხარტიშვილის აზრით, საქმიანი ადამიანების დევნისა და შევიწროების აღმოფხვრა შეუძლებელია მხოლოდ ცივილური გზებით.

„საჭიროა უფრო აგრესიული და აქტიური ქმედება, რათა სათანადოდ დავიცვათ ბიზნესმენები და არ დავუკარგოთ მათ სხვადასხვა სასიკეთო საქმეში ინვესტიციების დაბანდების სურვილი. გადამხდელთა კავშირმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მათ ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში, რადგან ეს არის ხალხი, ვინც ქმნის ახალ საქართველოს“, — განაცხადა ჩხარტიშვილმა.

შეხვედრაზე ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით, ბიზნესის გამჭვირვალობის წარმოსაჩენად შემუშავდა ახალი მეთოდი, რაც საზოგადოებისთვის ბიზნესმენთა საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას გულისხმობს.

ბ. პატარკაციშვილმა არსებული იდეა შეხვედრაზევე განახორციელა და მან პირველმა დამსწრე საზოგადოებას საქართველოში ჩადებული ინვესტიციების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

მისი თქმით, შეიქმნა მედია ჰოლდინგი „ი-მედია“, რომელშიც ათზე მეტი კომპანია გაერთიანდა. ინვესტიციები დაბანდებულია საფეხბურთო და საკალათბურთო კლუბ „დინამოში“, ოლიმპიურ ფონდში, სხვადასხვა სახის ლიტერატურის გამოცემებში, საღამოების, ფესტივალების მოწყობაში, არქეოლოგიური გათხრების დაფინანსებაში. ექსპედიციები ჩატარდა ისრაელში, საბერძნეთსა და ინდოეთში.

„ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ბიზნესმენმა თვითრეკლამირების მაგივრად მთელი ყურადღება საკუთრივ საქმეზე უნდა გადაიტანოს, ასევე უხერხულად მიმაჩნია საუბარი იმ მეცენატურ თუ საქველმოქმედო მოღვაწეობაზეც, რომელსაც ჩვენ ვეწევით. თუმცა როგორც ჩანს, თქვენც და საზოგადოებასაც აინტერესებს ჩემი მოღვაწეობის ასპექტები და ამ მიზნით ზოგადად გაგაცანით გაწეული საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია“, — განაცხადა ბიზნესმენმა.

ბ. პატარკაციშვილის თქმით, იგი მზადაა თავის კოლეგებს ნებისმიერ საინტერესო კითხვაზე დეტალურად გასცეს პასუხი, იქამდე კი ბიზნესმენი ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლა. მის მიერ გაწეული ქველმოქმედება და ინვესტირება ათეულობით მილიონი ლარია.

ბ. პატარკაციშვილმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში ბიზნესი დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ზეწოლისაგან. „ჩვენ ყველამ ერთობლივად უნდა შევქმნათ ისეთი ბიზნესგარემო, სადაც ხვალ ჩვენ და ჩვენს შვილებს გაგვიადვილდება ცხოვრება“— განაცხადა მან.

ბიზნეს-წრეები სამოქმედო სტრატეგიულ გეგმას ერთ კვირაში განსაზღვრავენ.



***ახალი ამბების სააგენტო „ინტერ-პრესი“.***

## კონტრაბანდის წინააღმდეგ

# ჰოლანდიური ყვავილები ბათუმიდან

**პირველი გვერდიდან**

25 მარტს იმერეთის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების, საგანგებო ლეგიონისა და უშიშროების სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა კოპიტნარის საგუშაგოზე ამხილეს ბათუმში მცხოვრები დავით თურქაძე, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ ბათუმიდან ქუთაისში გადაჰქონდა 5.000 ლარის ღირებულების უცხოური ყვავილი.

27 მარტს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ქალაქ ფოთთან შეაჩერეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში მცხოვრები კიაზო კვარაცხელია, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ გადაჰქონდა 8 ტონა შავი ლითონის ჯართი. ავტომანქანა ტვირთიანად გადაყვანილია ფოთის საბაჟო ტერმინალში.

27 მარტს ამავე სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ამხილეს ზუგდიდში მცხოვრები მურმან ბელქანია, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ გადაჰქონდა 1100 ლარის ღირებულების 8 ტონა შავი ლითონის ჯართი. ეს ავტომანქანაც ტვირთიანად გადაყვანილია ფოთის საბაჟო ტერმინალში.

28 მარტს იმერეთის შს სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ვანის რაიონის სოფელ მუქედში მცხოვრები მაია კორძაძე, რომელსაც ვანში, მაღაზია „სამოთხეში“ აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 1507 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

მოკვლეული მასალები გადაეგზავნა საოლქო პროკურატურას.

28 მარტს თბილისის პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის, უშიშროების სამინისტროს თბილისის სამმართველოსა და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა თბილისის შემოსასვლელში დააკავეს გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრები გოჩა ზერეკიძე, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ სარეალიზაციოდ გადაჰქონდა ერგნეთის ბაზრობაზე შეძენილი 3000 ლარის ღირებულების სურსათი. ავტომანქანა ტვირთით გადაყვანილია საგანგებო ლეგიონის №2 ბაზაში.

თბილისის შემოსასვლელშივე დააკავეს გლდანის მე-7 მიკრორაიონში მცხოვრები გაიოზ გუმბარიძე, რომელსაც ავტომანქანით გადაჰქონდა ერგნეთის ბაზრობაზე შეძენილი 4.000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი.

28 მარტს „ჩავარდა“ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მცხოვრები გიორგი მიტიჩაშვილიც, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ გადაჰქონდა ერგნეთის ბაზრობაზე შეძენილი 2.000 კილოგრამი ქერი. ავტომანქანა ტვირთით გადაყვანილია საგანგებო ლეგიონის №2 ბაზაში.

საგზაო პოლიციამ კოპიტნარის საგუშაგოზე გააჩერა ბათუმელი თემურ ძნელაძე, რომელსაც ავტომანქანით უსაბუთოდ გადაჰქონდა 1.400 მეტრი სიგრძის ქსოვილი.

სამართალდამცავები განაგრძობენ ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების განხორციელებას.

**ვახტანგ გიორგაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თვალსაზრისი

# ტვინების გადინება სერიოზული პრობლემაა — მას განსჯა სჭირდება

## საქართველოში მეცნიერების განვითარების სტრატეგიის შესახებ

**შესამჩნევი გახდა უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით როგორ გაძლიერდა მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისა და ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი-მუშაკების მშობლიური ქვეყნიდან ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებში გადინება. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და ინგლისში.**

ტვინების გადინებამ საგრძნობი ზიანი მიაყენა განვითარებადი და სუსტად განვითარებული ქვეყნების მეცნიერებას, ახალი ტექნოლოგიებით მათ უზრუნველყოფასა და ეკონომიკურ პროგრესს.

მეცნიერება სახელმწიფოს ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალის აღმავლობის სტრატეგიული საფუძველია და, ბუნებრივია, რომ ყოველი სამეცნიერო წარმატება ფუნდამენტურ თუ გამოყენებით დარგებში სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაში აისახება. ის არსებით გავლენას ახდენს სახელმწიფოსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე.

შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დადგა საქართველოში. საბაზრო-ეკონომიკის პირობებში აუცილებელი ხდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული საფუძვლების შემუშავება, რაც მეცნიერებას გადაარჩენს და ახალგაზრდა კადრების გადინებასაც შეაკავებს.

დღეს მთელი მსოფლიო არამხოლოდ ტვინების გადინებაზე ალაპარაკდა, არამედ ისეთ მტკივნეულ საკითხზე, როგორიცაა ტვინების განრიდება მეცნიერებისაგან, რაც პრაქტიკულად, ძირს უთხრის მეცნიერების განვითარებასა და მისი პერსპექტიული კადრებით დაკომპლექტებას. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია აშკარად საქართველოშიც შეინიშნება, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს აისახა. კერძოდ, ბოლო ხანებში საგრძნობლად შემცირდა ფუნდამენტური დარგებისადმი ახალგაზრდების მისწრაფება, განსაკუთრებით ვაჟების მხრივ.

მაშინ, როცა აშშ-სა და ევროპაში მეცნიერებაში ქალთა სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობის სტიმულირებასა და ხელშეწყობაზე საუბრობენ, საქართველოში, მეცნიერებაში მოღვაწე მკვლევარ ქალთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება, მამაკაცთა რიცხვი კი, პირიქით, საგრძნობლად მცირდება. უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებში დღეისათვის ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. არის განყოფილებები და კათედრები, რომლებიც პრაქტიკულად მხოლოდ ქალებითაა დაკომპლექტებული. უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების დიდი მცდელობის მიუხედავად ფუნდამენტური სპეციალობების ვაჟებით დაკომპლექტება კვლავ პრობლემად რჩება. მართალია უმაღლეს სასწავლებლებთან შეიქმნა სპეციალიზირებული სკოლები და მოსამზადებელი კურსები, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი ტენდენციის საფუძველი მეცნიერ-მუშაკთა შრომის დაბალი ანაზღაურებაა. სტატიებში ხშირად აკეთებენ შედარებებს მეცნიერ-მუშაკთა და ფირმებში მოღვაწე პირთა ფინანსური ანაზღაურების შესახებ. რა თქმა უნდა, უპირატესობა ფირმებში მოღვაწე პირთა სასარგებლოდაა. ახალგაზრდა ბიზნესმენის ხელფასი რამდენიმე ათეულჯერ აღემატება მეცნიერ-მუშაკის ხელფასს. ამ უკანასკნელმა, მხოლოდ 22 წლის შემდეგ, თუ ის პროფესორი გახდება, ხელფასის სახით საქართველოში შეიძლება მიიღოს 75 ლარი. ალბათ ადვილი წარმოსადგენია ფუნდამენტურ დარგებზე სწავლის რა მოტივაცია ექნება ახალგაზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდრე გვიან არ არის, დროა საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია შემუშავდეს, რაც უნდა დაეფუძნოს უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ საქართველოს კანონს და განმტკიცებული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციითა და ნორმატიული დოკუმენტებით.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სტრატეგიული მნიშვნელობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მიზნით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და უმაღლესი სკოლების, კერძოდ უნივერსიტეტების ფუნდამენტური და დარგობრივ მეცნიერებათა წამყვანი სპეციალისტების ბაზაზე უნდა შეიქმნას ერთობლივი საექსპერტო კომისია.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული ამოცანებიდან და ეროვნული ინტერე- [illegible] ბრივი და არატრადიციული ენერგეტიკული წყაროების გამოყენების ახალი ტექნოლოგიები, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებები, საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები.

სტრატეგიული მნიშვნელობის აღნიშნული ყველა დარგის განვითარება უნდა შეფასდეს მათი ღირებულებისა და სახელმწიფოს ფინა- [illegible] მესამე. საბაზრო-ეკონომიკის გა- [illegible] ის გარემოებაც, რომ ბიომედიცინა, დღეს, მთელ მსოფლიოში, აღიარებულია, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სამეცნიერო მიმართულება, **მეცხრე.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაფინანსებას, ვინაიდან ის ჩვენი აწმყო და მომავალია და მისი არასათანადო დონეზე მეცნიერული შესწავლა ჩვენი წარსულისა და [illegible] მოყენების მიზნით საჭიროა: საავტორო, საპატენტო და სალიცენზიო საქმიანობის უფლებათა დაცვის საკანონმდებლო აქტების სრულყოფა და პრაქტიკაში მისი რეალიზაცია, ინტელექტუალური საკუთრების ბაზრის ფორმირება, სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების აღრიცხვისა და მისი დანერგვის სისტემის შექმნა, სათანადო სარისკო კაპიტალის გამოყოფით.

სამეცნიერო პოტენციალისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შენარჩუნების მიზნით საჭიროა უმოკლეს ვადებში სერიოზულად გაიზარდოს ასპირანტებისა და მეცნიერ-მუშაკთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება შესაბამისად, სულ მცირე 200 და 500 ლარამდე, რაც ფუნდამენტური დარგებისადმი სწრაფვის ძლიერი მოტივაციური ფაქტორი გახდება, პრესტიჟულს გახდის მეცნიერებას და პრაქტიკულად, შეაჩერებს საქართველოდან ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების გადინებას. სერიოზულად უნდა გადაისინჯოს სეს-ის წესდება, რათა რესპუბლიკის ინტერესებთან შეჯერდეს დისერტაციების დაცვისათვის საჭირო აუცილებელი ქართულენოვანი ჟურნალების ნუსხა მათი პრესტიჟის ამაღლების მიზნით. საგულისხმო ფაქტია, რომ სომხეთში მაძიებელი ვერ დაიცავს დისერტაციას, თუ სტატიები სომხურენოვან ჟურნალებში არ ექნება გამოქვეყნებული, ჩვენთან კი პირიქით, დისერტაციის დასაცავად მაძიებელს რამდენიმე სტატია უცხოეთში უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს უმაღლესი სასწავლებლებიდან არასაბიუჯეტო სწავლების მიზნით შემოსული თანხების ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, რაც საშუალოდ ხელფასის ფონდის 53 პროცენტს შეადგენს. მსგავსი რამ არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება. ბუნებრივია, რომ ეს თანხები სტუდენტების სწავლებას, სწავლებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და აუდიტორიების თანამედროვე ავეჯით აღჭურვას, სასწავლო აუდიტორიების გათბობასა და მასწავლებელთა ხელფასის გაზრდას უნდა მოხმარდეს.

ბოლო ხანებში აკადემიის სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების მაღალი ფასების გა- [illegible] ერთობლივი გამოყენება. ამ მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, უნივერსიტეტებმა, ფართოდ უნდა გამოიყენონ აკადემიასთან არსებული პროფილირებული ინსტიტუტების სამეცნიერო ლაბორატორიები და ბაზები. მოხდეს სტრატეგიული მნიშვნელობის ერთობლივი სამეცნიერო პრობლემების დამუშავება მაგისტრებისა და ასპირანტების მონაწილეობით. გაფართოვდეს მაგისტრების, ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების სტაჟირება უცხოეთში, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სასტაჟიორო უცხოური გრანტები. უმაღლეს საგანმანათლებლო სკოლებში, უნივერსიტეტებში, უნდა დაინერგოს პროფესორ-მასწავლებელთა უცხოურ წამყვან სამეცნიერო ცენტრებში 3-5 წელიწადში ერთხელ, ერთი წლით სამეცნიერო მივლინების ტრადიცია, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ორიგინალური იდეების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, ხელფასის შენარჩუნებით. ეჭვი არაა, რომ მეცნიერების გარეშე, უმაღლეს სკოლებში მაღალპროფესიული კადრების მომზადება წარმოუდგენელია. აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა მეცნიერული აღზრდისა და სწავლების ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების დანერგვას, უნდა გაფართოვდეს მუშაობა სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად, გამჭვირვალე უნდა გახდეს თავად გრანტების არსებობაც, სასურველია ამ მიზნით სპეციალური მცირე მოცულობის საინფორმაციო გაზეთის გამოშვებაც. ახალგაზრდებში უნდა გაძლიერდეს უცხო ენების სწავლება, რათა მიზანმიმართულად ვითანამშრომლოთ საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არასამთავრობო სამეცნიერო ორგანიზაციებთან. საქართველოში უნდა გაფართოვდეს არასამთავრობო სამეცნიერო საზოგადოებებისა და ასოციაციების ქსელი, რომლებთანაც წარმატებით თანამშრომლობენ უცხოური, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოში მეცნიერების განვითარების ჩემს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა პრეტენზიას არ აცხადებს უნივერსალურობაზე და ბუნებრივია, რომ მომავალში მასში კიდევ ბევრი ცვლილება იქნება შეტანილი. ეს მხოლოდ სავარაუდო სქემაა მომავალში პრობლემის სერიოზული განსჯისათვის.

**ნუგზარ ალექსიძე,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.**

სიტუაცია

# მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტების შემოღებით საკრებულომ კანონი დაარღვია

## ქალაქის საკრებულო წინასაარჩევნო დივიდენდებს იწერს

**საკრებულომ დედაქალაქის მერის, ვანო ზოდელავას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს „უბნის მამასახლისებისა“ და „რაიონის რწმუნებულის შესახებ“ ვეტო ახსნა, თუმცა, მერიასა და საკრებულოს შორის ამ თემებზე ჭიდილი არ დასრულებულა.**

**ახლა გადამწყვეტი სიტყვა იუსტიციის სამინისტროს ეთქმის. მან მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტების შემოღებაზე საკუთარი ვერდიქტი უნდა გამოსცეს. არც ის არის გამორიცხული, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებები ზოდელავამ სასამართლოში გაასაჩივროს.**

**ვესაუბრებით ქალაქის მერს ვანო ზოდელავას:**

***— საკრებულო თქვენი და ქალაქის მთავრობის უნდობლობის გამოცხადებაზე ისევ ალაპარაკდა. დაიხევთ თუ არა უკან და ნიშნავს თუ არა ეს, რომ თბილისის მართვაში საკრებულო მერიას თავის პირობებს კარნახობს?***

— საკრებულო შანტაჟზე მოდის, მაგრამ მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ კანონმდებლობით მას მერისა და პრემიერისთვის უნდობლობის გამოცხადების უფლება არ გააჩნია. მას შეუძლია პრეზიდენტის წინაშე დასვას მათი უნდობლობის საკითხი. თუმცა, მერის, პრემიერისა და ქალაქის მთავრობის წევრების შესახებ უნდობლობის გამოცხადებაზე საუბრისას უმთავრესია ერთი მომენტი: არავის აქვს უფლება, რომ თანამდებობის პირის — მერის, პრემიერის, ვიცე-პრემიერებისა თუ ქალაქის მთავრობის სხვა წევრების იმპიჩმენტებზე უსაფუძვლოდ დაიწყოს მსჯელობა. ასეთი საფუძველი მათ მიერ კანონებისა და კონსტიტუციის დარღვევა შეიძლება იყოს. მათ უნდა დაუმტკიცდეთ, რომ ეს დანაშაულობები თითიდან გამოწოვილი კი არ არის, არამედ მართლაც მიუძღვით ბრალი. კანონი კი, საკრებულომ დაარღვია, როცა თავის დროზე პრინციპით — „არ მომწონხარ და ამიტომ უნდა წახვიდე“, ქალაქის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა და ამავე საკითხით მერის თაობაზე პრეზიდენტს მიმართა. ახლაც იგივე მეორდება. მოტივიც სასაცილოა: საკრებულოს მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები დავიწუნე და ამისთვის მიჩივიან!

საკრებულომ „უბნის მამასახლისისა“ და „საკრებულოს რწმუნებულის“ შესახებ გადაწყვეტილებები კანონმდებლობის მთელი რიგი მუხლების დარღვევით მიიღო იმის ნაცვლად, რომ საკრებულოს ჩემი შენიშვნები განეხილა. და რა მოხდა? მათგან ბევრმა თქვა, ჩვენ მამასახლისებისა და რწმუნებულების საკითხს არ ვეთანხმებით, მაგრამ შენიშვნები მერმა შემოიტანა ამიტომ, მხარს არ დავუჭერთო. ეს სრულიად გაუგებარი, იურიდიულად და მორალურად დაუსაბუთებელი პოლიტიკური კამპანიაა.

საკრებულოში ხშირად, პროფესიონალიზმს პოპულიზმი და პარტიული ინტერესები სჭარბობს.

არც ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ და არც „დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ კანონი არ იცნობს „მამასახლისის“ ცნებას. არადა, საკრებულოს გადაწყვეტილებები კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამიტომ, საკრებულოს მიერ ამ ინსტიტუტის შექმნა უკანონოა. გარდა ამისა, გადაწყვეტილების პროექტის მთელი რიგი მუხლები, რომლებიც „მამასახლისის“ მოვალეობებსა და უფლებებს განსაზღვრავენ, ორი წვეთი წყალივით გვანან ქალაქის რაიონული გამგეობების უფლება-მოვალეობებს. ქალაქში იქმნება ახალი სამსახური, რომელიც გამგეობის ფუნქციას ითავსებს.

თანაც, საუბარია ქალაქის ბიუჯეტიდან „მამასახლისებისთვის“ ხელფასების დანიშვნაზე, რაც მათ ჩვეულებრივ საჯარო მოხელეებად აქცევს. ვფიქრობ, სჯობს მამასახლისი აბსოლუტურად დამოუკიდებელი პიროვნება იყოს, რადგან საკრებულოსა და მერიის წინაშე ანგარიშვალდებული მამასახლისი გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფალი ვერ იქნება.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს საკრებულოს ინტერესებში შედის?***

— დიახ, მათ სურთ, რომ მამასახლისი მართვადი იყოს. თანაც, საკრებულომ მშვენივრად იცის, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი საკმაოდ მწირია. დარწმუნებული ვარ, საკრებულოში არც კი უფიქრიათ, „მამასახლისების“ ხელფასების თანხა საიდან უნდა გამოიძებნოს. საკრებულოში „მამასახლისების“ პარტიების ბიუჯეტით დაფინანსების თემამაც კი გაიჟღერა. ეს საქმისადმი არასერიოზული მიდგომაა. შესაძლებელია, აქ შორსგამიზნული იდეა იმალება. „მამასახლისის“ ხელფასების პარტიებიდან დაფინანსება სწორედ პარტიულ დაქვემდებარებას მოასწავებს. ვფიქრობ, საკრებულომ მამასახისის ინსტიტუტის დამკვიდრება ამიტომ მოიწადინა. როგორ გგონიათ, რამდენად გამართლებულია, რომ მოსახლეობაზე ზრუნვის საფარქვეშ პოლიტიკოსებმა პარტიული ინტერესები გაატარონ და თავიანთი აგიტატორები ქალაქის ბიუჯეტით დააფინანსონ?

სხვა ისეთი ფაქტების დასახელებაც შემიძლია, რაც ეჭვებს აძლიერებს. საკრებულოს მიაჩნია, რომ მამასახლისი „ზემოდან“ — ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ უნდა დაინიშნოს „შესაბამის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა გამოკითხვის საფუძველზე“. რას ნიშნავს „გამოკითხვა“ და ვინ უნდა ჩაატაროს იგი? 18 მარტს საკრებულოს სხდომაზე ითქვა, რომ ამ პროცესებში აქტიური მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ. დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ.



შესაბამისად, ეს ქმნის საფრთხეს, რომ „მამასახლისების“ არჩევას, შემდეგ კი მათ საქმიანობას პოლიტიკური პარტიები გააკონტროლებენ. ეს კიდევ უფრო მარწმუნებს იმაში, რომ მამასახლისის ინსტიტუტის ამ სახით შექმნა წმინდა პოლიტიკური საკითხია.

შესაძლებელია, პოლიტიკურ დაჯგუფებებს, როგორც საკრებულოში, ასევე, საკრებულოს გარეთ, წინასაარჩევნოდ ეს ხელს აძლევს კიდეც, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებსა და ხალხის ნებას. მათ საკუთარი სადარბაზოსა თუ უბნის პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარების უფლება უნდა ჰქონდეთ. კანონის მოთხოვნების გვერდის ავლა არ შეიძლება. კიდევ ერთს გეტყვით: უცნობია, საკრებულომ რის საფუძველზე გადაწყვიტა, რომ თბილისს 150 თუ 200 მამასახლისი სჭირდება. შესაძლებელია, თბილისს 100-ც ეყოფა, ან პირიქით, 300 არ არის საკმარისი? გადაწყვეტილების პროექტიდან მოყვანილ ციტატაში ნახსენებია ტერმინი „შესაბამისი ტერიტორია“, რომელიც არც დაზუსტებულია და კანონსაც ეწინააღმდეგება. საქმე ის არის, რომ საკრებულო „მამასახლისების“ „ასარჩევი“ ტერიტორიების დადგენასა და შესაბამისად, მათი რაოდენობის განსაზღვრას თავად აპირებს. არადა, „დედაქალაქის — თბილისის“ შესახებ კანონის თანახმად, ამგვარი სექტორების დაწესება მერის კომპეტენციაა.

ყოველივე ზემოთქმული კანონმდებლობის მოთხოვნებს უგულებელყოფს და ქალაქში „ხალხის მიერ არჩეული „მამასახლისების“ შირმის ქვეშ საკრებულოს პარტიების მიერ ხალხის მაკონტროლებელი სტრუქტურის შემოღებას გულისხმობს. ეს ყოველივე ხდება მაშინ, როცა საკრებულოს მთავარი დევიზი დემოკრატია და კანონიერებაა. მისი რამდენიმე წევრი კი, იურისტია.

***— თქვენ წეღან ახსენეთ, რომ კანონმდებლობაში „მამასახლისის“ ცნება ნახსენები არ არის. თქვენ კი, ანალოგიური ინსტიტუტის დამკვიდრებას გეგმავთ. ეს როგორღა გავიგოთ?***

როგორც უკვე გითხარით, არსი სულ სხვაგვარია. ჩვენი განკარგულება „სამოქალაქო კოდექსს“ ეფუძნება. კოდექსი ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნას ითვალისწინებს. ხალხს უფლება აქვს, რომ კომუნალური პრობლემების მოგვარებას მხოლოდ ხელისუფლებისგან კი არ ელოდოს, არამედ — ამ პროცესში თავადაც აქტიურად ჩაერთოს, იკონტაქტოს გამგეობებთან, სხვადასხვა საქალაქო სამსახურთან, უწყებასთან, რომლებსაც გაზმომარაგება, საოჯახო ნარჩენების გატანა თუ სხვა რამ ავალია. თუმცა, საბინაო ამხანაგობები არ შექმნილა, რადგან ორგანიზაციული საკითხები არ მოწესრიგებულა. ჩვენი მიზანი სწორედ, ამ საკითხების მოგვარება იყო.

თბილისის მთავრობა თითქმის მთელი წელიწადია საუბრობს სადარბაზოებსა თუ უბნებში ამხანაგობების მიერ არჩეული თავმჯდომარის ინსტიტუტის შემოღებაზე, რომელსაც, სხვათა შორის, ასევე „მამასახლისი“ შეიძლება ეწოდოს. ქალაქის მუნიციპალიტეტის ფუნქციები ამხანაგობების უფლებამოსილებებთან იკვეთება, რადგან ორივე მხარე მოსახლეობის კომუნალურ პრობლემებზე ზრუნავს. ამიტომ, აუცილებელია, რომ ამხანაგობებსა და მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთობები კანონის ფარგლებში მოგვარდეს. მერიაში შემუშავებული პროექტის თანახმად, ამხანაგობებმა უნდა აირჩიონ წარმომადგენელი, რომელიც მუნიციპალიტეტთან, ასევე „თბილგაზთან“, „წყალკანალთან“, „ეიი-ეს თელასთან“ და სხვა სტრუქტურებთან ხელშეკრულებებს გააფორმებს და მეზობლებს პრობლემებს მოუგვარებს.

ვფიქრობ, მამასახლისებად შეიძლება აირჩიონ ის აქტიური თბილისელები, რომლებიც ლიფტისა თუ სხვა გადასახადების აკრეფაში არაოფიციალურად ისედაც მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში, მათ უკვე საქალაქო თუ კერძო სტრუქტურებთან ურთიერთობისას ოფიციალური სტატუსი ენიჭებათ და თანაც, ფინანსური დაინტერესებაც ექნებათ: ამოღებული თანხის 6 პროცენტი მათ დარჩებათ. თავისთავად, მეზობლებიც მოგებული იქნებიან, რადგან მათ ორგანიზაციასთან კი არა — ერთ პიროვნებასთან უწევთ ურთიერთობა, რაც გაცილებით იოლია. გასათვალისწინებელია, რომ სადარბაზოს ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქცია მხოლოდ გადასახადების აკრეფა არ არის. მან უბნის პრობლემები ქალაქის ხელისუფლებამდე უნდა მიიტანოს და არ მოასვენოს მანამ, სანამ საქმე არ გაკეთდება. კორპუსთან საკანალიზაციო ხუფები არ არის, ან ბავშვებს სპორტული მოედანი სჭირდებათ? ამ თემაზე გამგეობასთან ერთად მხოლოდ მამასახლისი მუშაობს. ეს ჩვენთვისაც მომგებიანია და იმ კერძო სტრუქტურებისთვისაც, რომლებთანაც ესა თუ ის ამხანაგობა ხელშეკრულებას გააფორმებს.

***— საკრებულო აცხადებს, რომ რწმუნებულების ინსტიტუტის შემოღება აუცილებელია, რადგან საკრებულოს გამგეობათა მუშაობის მონიტორინგის უფლება უნდა ჰქონდეს...***

— საკრებულოს წევრს „თბილისის შესახებ“ კანონის თანახმად ეს ისედაც შეუძლია. ჩემს მიერ შეთავაზებული შენიშვნებიდან სულ რამდენიმეს გაგაცნობთ და მიხვდებით, რომ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აბსურდულია. საკრებულომ რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება იმ მოტივით მოიწადინა, თითქოს გამგებლები საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულნი არ არიან. ამის განცხადება პოლიტიკური სიბეცეა. მერია და ქალაქის სტრუქტურები აღმასრულებელი რგოლები არიან. „თბილისის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, მერის, პრემიერის, სხვა თანამდებობის პირებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლი საკრებულოს კომპეტენციაა. გამგებლები კი მთავრობაში შედიან. „თბილისის შესახებ“ იგივე კანონი ამბობს, რომ საკრებულოს წევრს უფლება აქვს ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რაც მას საქმიანობისთვის სჭირდება, სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს თბილისის მთავრობის, გამგეობების სხდომებს და კითხვით მიმართოს მათ. ბოლოს და ბოლოს, ამავე კანონის 30-ე მუხლის თანახმად, **გამგებელი ანგარიშვალდებულია მერის, საკრებულოსა და საკუთარი მოსახლეობის წინაშე.** ისიც მინდა გითხრათ, რომ საკრებულოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილება ნორმატიული აქტია, რომელიც კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს. „რწმუნებულის“ ინსტიტუტს კი, კანონმდებლობა არ იცნობს.



გასათვალისწინებელია მეორე მხარეც, მაშინ როცა საკრებულო „რწმუნებულს“ გამგეობების საქმიანობის მონიტორინგს ავალებს, ამით საკრებულოს სხვა წევრების უფლებებს ზღუდავს, რადგან რწმუნებულებს ზუსტად იგივე უფლებები აქვთ, რაც მის „ჩვეულებრივ“ კოლეგებს. ეს საკრებულოს უფლებებს სცილდება. ამ შემთხვევაში მე საკრებულოს წევრთა უფლებებს ვიცავ, როცა ამაზე უწინარესად თავად საკრებულო უნდა ზრუნავდეს. საკრებულოს გადაწყვეტილებასა და დებულებაში მთელი რიგი ისეთი მუხლებია, რომლებიც კანონმდებლობის მოთხოვნებს სცდება. მათ აღარ ჩამოვთვლი. ერთს დავამატებ: საკრებულო კანონის დაცვის დევიზით გამოდის და მას თვითონვე არღვევს.

***— ახლა რას აპირებთ?***

— ვფიქრობ, სასამართლოში საჩელი შევიტანო თუ არა. მანამდე კი, გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც ზემოთქმულ გადაწყვეტილებებს ექსპერტიზა უნდა ჩაუტაროს. იმედია, სამინისტრო საკრებულოს მიერ დაშვებულ შეცდომებს უყურადღებოდ არ დატოვებს. ამას უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ.

ესაუბრა
**გუჯა რთველაძე.**

პრობლემა

# ქაღალდზე დარჩენილი თხილის პლანტაციები

**ბოლო დროს აშკარად გამოიკვეთა თხილისა და სოიის კულტურების განვითარების დიდი სოციალურ-ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მნიშვნელობაც.**

**ნიშანდობლივია, რომ ყოველწლიურად საქართველოდან ტონობით თხილი გადის, ბიუჯეტი კი ერთ თეთრსაც ვერ ღებულობს. თხილის ბიზნესზე და მის პერსპექტივაზე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ადრეც წერდა.**

**რა მდგომარეობაა დღეს? ამ საკითხზე ვესაუბრე ასოციაცია „ქართული სოფლის“ პრეზიდენტს, პროგრამა „თხილის“ ხელმძღვანელს, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორს ბიძინა სარჯველაძეს. მას ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდა.**



როგორც აქ მითხრეს, 1990 წლამდე საქართველოში თხილისა და სხვა კაკლოვანი კულტურების განვითარების პერსპექტივას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ ახლა, მსოფლიო ბაზარზე მისი გაიაფების გამო, და იმის გამოც, რომ ამ კულტურების რეალიზაციის რუსული ბაზარი დავკარგეთ, მკვეთრად გამოჩნდა სხვა ქვეყნების დაინტერესება.

პროფესორმა ბიძინა სარჯველაძემ წერილი მისწერა ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ მან შეისწავლა თხილისა და სოიის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების მსოფლიო გამოცდილება და დარწმუნდა, რომ ამ კულტურების ფართოდ განვითარება ძირფესვიანად შეცვლის ჩვენს სოფლებში შექმნილ მძიმე სოციალურ ვითარებას.

„ბატონ დ. კირვალიძეს. საინტერესო მოსაზრებებია. განიხილეთ წერილის ავტორთან ერთად, დაეხმარეთ. შეძლებისდაგვარად ამოუდექით მხარში. მე კარგად ვიცნობ ავტორს, შეგვიძლია ვენდოთ. 2001 წელი, მარტი“.

„ბატონ რ. გილიგაშვილს, საინტერესო წინადადებაა. ავტორთან ერთად განიხილეთ მისი თქვენს სისტემაში განხორციელების შესაძლებლობა, ამავე დროს წარმოადგინეთ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დასკვნა. ე. შევარდნაძე, 2002 წელი, მაისი.

სხვა რა განკარგულება, ან რა სახის დავალება უნდა მიეცა ქვეყნის პრეზიდენტს შესაბამისი უწყებებისა და სამინისტროებისათვის, რომ ეს საკითხი საფუძვლიანი გადამოწმების შემდეგ დღის წესრიგში დამდგარიყო? ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურის მითითებებს და განკარგულებებს მეტისმეტი სიფრთხილით და გაგებით ეკიდებიან, ჩვენთან?

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

არადა, ასოციაცია „ქართული სოფლის“ ინიციატივით „თხილის სახელმწიფო პროგრამა“ 1999 წელს შეიქმნა, შემუშავდა წესდება და პროგრამა, დაიწყეს მუშაობა, მაგრამ... სათანადო დაფინანსების პირობებში, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა დასახული მიზნის მიღწევა, რაც დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს უთუოდ სასიკეთოდ წაადგებოდა.

პროფესორმა ბიძინა სარჯველაძემ და ინჟინერ-მექანიზატორმა ნუგზარ მამალაძემ შეიმუშავეს კოლხეთის დაბლობზე სოიასა და თხილის შეთანაწყობის უნიკალური პროგრამა, რაც ნიშნავს იმას, რომ საშრობი არხების ამონაყარ მიწებზე ირგვება თხილი, ხოლო რიგთაშორისებში სოია ითესება. თხილი, ამავე დროს, ქარსაცავის როლსაც ასრულებს, სოია კი აღების შემდეგ ნიადაგში საკმაო საკვებ ელემენტებს ტოვებს.

გაანგარიშებულია, რომ ერთ ჰექტარ ფართობზე 20-მეტრიანი სიგანის კვლებზე 240 ძირამდე თხილი ირგვება, რაც მიწათმოქმედთ საშუალებას აძლევს აღადგინონ ძველი ტრადიცია — სიმინდთან ერთად სოიას შეთესვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით, ბიძინა სარჯველაძემ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანაში 50 ჰექტარზე, ხოლო იქვე, მთიანი ზონის სოფელში 10 ჰექტარზე თხილის პლანტაცია, ხოლო სოფელ სუფსაში 1,5 ჰექტარზე თხილის სანერგე მეურნეობა მოაწყო.

ყოველივე ეს, რაც გაკეთდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მასშტაბებს ნამდვილად არ შეესაბამება, მაგრამ ვინაიდან პროგრამა სახელმწიფომ ვერ დააფინანსა, ამიტომ თავიანთი ძალებით მეტი ვერ შეძლეს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტის პრინციპული მოთხოვნების შედეგად შარშანდელი ბიუჯეტიდან 500 ათასი ლარი კი გამოუყვიათ, მაგრამ მერე რა? ფინანსთა სამინისტროს ეს თანხა სეკვესტრში მოუქცევია.

გამოყოფილ თანხას ვერ იღებენ, თავიანთი კი არა აქვთ, ამ დროს, ალბათ, უპრიანი იქნებოდა აგრობიზნესბანკს გაეწია მათთვის დახმარება, მაგრამ არც ეს მოხდა. არადა, სხვა შემთხვევაში კვლავ ჰაერში დარჩება გამოკიდებული, თხილისა და კაკლოვანი კულტურების გაშენებისადმი ქვეყნის ხელმძღვანელობის დაინტერესება. ხომ ყველამ იცის, რომ სწორედ პრეზიდენტის ავტორიტეტმა მოიზიდა ქვეყანაში სოლიდური ინვესტიციები. ასოციაცია „ქართული სოფლის“ ხელმძღვანელებს აინტერესებთ, სად წავიდა ეს თანხები, შესაძლებელი იყო თუ არა მისი გამოყენება ქართული სოფლის გასაძლიერებლად?

მარტო თხილზე არ არის ლაპარაკი, ამ პროგრამაში სოიასაც დიდი ადგილი უჭირავს. გადამუშავების შედეგად ერთ კილოგრამ სოიასაგან 7 ლიტრ რძესა და 1,2 კილოგრამ ფარშს იღებენ, ხოლო ნარჩენებისაგან მეცხოველეობისათვის ნოყიერი საკვები მზადდება. ასოციაციამ შექმნა სოიას გადამამუშავებელი აგრეგატი, რომელიც უცხოურს არ ჩამოუვარდება და მასზე სამჯერ იაფია. ასოციაციის წევრებმა გადაწყვიტეს ამ იაფი პროდუქციით ჯარის ნაწილების, საპატიმროების, საავადმყოფოების მომარაგება, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, საქმე ჯერჯერობით ადგილიდან არ დაძრულა.

თუ სათანადო დაინტერესება და ხელშეწყობა არ იქნება, ნებისმიერმა პროგრამამ ჩანასახშივე შეიძლება კრახი განიცადოს, ასე დაემართება, ალბათ, პროგრამა „თხილსაც“. არადა, მისი შესრულება ყოველწლიურად, როგორც პროფესორმა ბიძინა სარჯველაძემ ჩემთან საუბარში აღნიშნა, 300-400 მილიონ აშშ დოლარს მოგვცემდა. ეს ზოგს ფანტასტიკური ეჩვენება, მაგრამ მე, როგორც სოფლის წიაღში გაზრდილ კაცს, სავსებით რეალურად მეჩვენება, ამბობს იგი.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთ საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებას. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის უდავოდ აუცილებელია ჩაის პლანტაციების ის მინიმალური რაოდენობა მაინც შენარჩუნდეს, რაც დღეისათვის არსებობს.

სხვათა შორის პრეზიდენტმა თავის დროზე ისევე დიდი ინტერესი გამოიჩინა ლიმონის კულტურის მიმართ. მისი აქტიური ჩარევით, სამ წელიწადში, მაშინ, როცა საერთოდ არ იწარმოებოდა ეს ძვირფასი სამკურნალო ნაყოფი , მარტო სუფსაში 3 ათას ტონაზე მეტი დაამზადეს, ხოლო პირადად ბიძინა სარჯველაძის მიერ მოწყობილ ლიმონარიუმში ყოველწლიურად 25 ტონაზე მეტი ნაყოფი იკრიფებოდა. ნიშანდობლივია, რომ ლიმონის პირველი ნერგი სუფსაში ბატონ ედუარდს დაურგავს. „სწორედ პრეზიდენტის დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოს ბაზარი გაჯერებულია ლიმონის, ამ ძვირფასი სამკურნალო მცენარის, ნაყოფით“ — ამ სიტყვებით ამთავრებს ბატონი ბიძინა ჩემთან საუბარს.

იმედია, „თხილის“ სახელმწიფო პროგრამის შესრულებას ამჟამად მაინც მიექცევა ყურადღება, რაც ქვეყანაში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

**ნაზი იმნაიშვილი.**
**სურათზე: ბიძინა სარჯველაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 87, ხუთშაბათი, 3 აპრილი, 2003 წელი.

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 30 მარტი ქ. თბილისი

## სპორტის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

სპორტის სფეროში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების, ამ პრობლემების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და განხორციელების სამუშაოების მიზნით:

1. შეიქმნას სპორტის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) თანდართული შემადგენლობით.

2. დამტკიცდეს კომისიის თანდართული დებულება.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 თებერვლის № 39 ბრძანებულების პირველი პუნქტი.

4. ამ ბრძანებულების პირველი პუნქტით შექმნილმა კომისიამ განახორციელოს „ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 თებერვლის № 39 ბრძანებულების შესრულების კონტროლი.

5. ამ ბრძანებულების პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-2 დღეს.

ედუარდ შევარდნაძე.

## სპორტის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია

**ედუარდ შევარდნაძე** – საქართველოს პრეზიდენტი, კომისიის თავმჯდომარე;
**ავთანდილ ჯორბენაძე** – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
**დავით აბრამიშვილი** – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის რეფერენტი, კომისიის მდივანი;
**მერაბ ადეიშვილი** – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი;
**ნოდარ ამაღლობელი** – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე;
**ჯანსუღ ბაგრატიონი** – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;
**ირაკლი ბოჭორიძე** – საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი;
**ზურაბ გაიპარაშვილი** – საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე;
**ამირან გამყრელიძე** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
**ნონა გაფრინდაშვილი** – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი;
**გიორგი გაჩეჩილაძე** – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი;
**დავით გობეჯიშვილი** – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
**მირიან გოგიაშვილი** – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
**ომარ ბოკუჩავა** – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი;
**ზურაბ გუგავა** – სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე;
**ემზარ ზენაიშვილი** – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი;
**ივანე ზოდელავა** – ქ. თბილისის მერი;
**ამირან ზუხბაია** – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე;
**დავით თევზაძე** – საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
**თედო ისაკაძე** – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;
**ალექსანდრე კარტოზია** – საქართველოს განათლების მინისტრი;
**ირაკლი მენაღარიშვილი** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;
**მერაბ მეტრეველი** – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ოლიმპიური მზადების შტაბის უფროსი;
**როინ მეტრეველი** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
**ირაკლი მეძმარიაშვილი** – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე;
**კობა ნარჩემაშვილი** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;
**რომან რურუა** – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე;
**რუსუდან სიხარულიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;
**ჯემალ ძაგანია** – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორი;
**გოჩა ძასოხოვი** – საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი;
**დავით ჭელიძე** – ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი;
**ლერი ხაბელოვი** – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
**ვალერი ხაბურძანია** – საქართველოს უშიშროების მინისტრი;
**დავით ჯოჯუა** – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი.

## სპორტის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის დებულება

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.
სპორტის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შექმნილია „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2.
კომისია თავის საქმიანობას წარმართავს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონისა და „სამთავრობო კომისიის შექმნის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 1 მაისის № 204 ბრძანებულების, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

### თავი II

მუხლი 3.
1. კომისიის ამოცანებია:
ა) დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებების განხორციელების შესახებ წინადადებების მომზადება;
ბ) სპორტის დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვისა და შემდგომი განვითარებისათვის წინადადებების მომზადება;
გ) სპორტსმენთა და სპორტის სხვა მუშაკთა წახალისებისათვის გზების გამოძებნის შესახებ წინადადებების მომზადება;
დ) მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდისა და ერის გაჯანსაღების ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება;
ე) ეროვნული სპორტული ფედერაციებისათვის სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება.
2. კომისია უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და სხვა მონაცემები საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისაგან;
ბ) მოამზადოს კონკრეტული დოკუმენტები (დასკვნა, წინადადება, პროგრამა და სხვ.) და წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს შესაბამისი რეაგირებისათვის.
3. კომისიის წევრს უფლება აქვს:
ა) წინასწარ გაეცნოს განსახილველ საკითხების მასალებს;
ბ) განსახილველ საკითხთან მიმართებით მოთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მიაწოდოს კომისიას თავისი მოსაზრება.

მუხლი 4.
1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომა იმართება წინასწარ დამტკიცებული გეგმის წესით. სხდომას იწვევს და უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.
4. თავისი ფუნქციების განხორციელების მიზნით კომისიამ შესაძლებელია შექმნას სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 5.
კომისიის მიერ მომზადებული წინადადებები წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 6.
კომისიის საქმიანობის შეწყვეტა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

### ოფიციალური ინფორმაცია

## ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ 2002-2003 წლების ზამთრის სეზონში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ასანაზღაურებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გამოუყოს მილიონ ხუთასი ათასი ლარი.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მიღებული ფინანსური სახსრები უნდა გადაურიცხოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ 2002-2003 წლების ზამთრის სეზონში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ასანაზღაურებლად.

ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების საკომპენსაციოდ გამოყოფილი თანხის ზევით დახარჯული ბუნებრივი გაზის საფასურს დაფარავს ადგილობრივი მოსახლეობა.

საქინფორმი.

### მხარე



## მართლმადიდებლობის დაბრუნება პანკისში

**ახლახან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის, გენერალ-მაიორ გიორგი შერვაშიძის ინიციატივით, პანკისის ხეობაში მართლმადიდებელი სასულიერო პირები ამობრძანდნენ და აქ განლაგებულ სამხედრო მოსამსახურეებს ანდრია პირველწოდებულის ხატები გადასცეს, ხოლო სოფელ ჯოყოლოს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წლების განმავლობაში გამოკეტილი კარი პირველად გაიხსნა და სახელდახელოდ აღევლინა წირვა-ლოცვა მამულისთვის თავდადებულთა სახელზე.** ხეობის მართლმადიდებელ მრევლს სიხარულისა და მოწიწების ცრემლები დაედინა. ზოგიერთები ამ მოვლენას „ერთჯერად ღონისძიებად" თვლიდნენ და იდუმალი სიჩუმით ადევნებდნენ თვალყურს ყოველივეს. გაგაცნობთ ნაწყვეტს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სამხედრო პატრიოტული ალმანახის („სპა") ამასწინანდელი გადაცემიდან:

„კარგი საქმე წამოიწყო ქართულ-ჩინურმა ერთობლივმა კამპანიამ, – პანკისის ხეობაში, ეკოლოგიურად საიმედო ხადორის მცირე ელექტროსადგურის აღდგენა-მშენებლობას მოკიდეს ხელი, რათა საკუთარი ენერგიით განათდეს ეს ულამაზესი მხარე. მშენებლობის დამთავრება 2003 წლის ბოლოსთვისაა ნავარაუდევი, მაგრამ სინათლის სხივმა გაცილებით ადრე შემოაღწია ხეობაში, – ის მართლწესრიგის ჯარისკაცებმა ჩამოიტანეს თან. სწორედ მათ გამოჩენას მოჰყვა მშვიდობიან მცხოვრებთა იმედი და რწმენა, რომელზეც ამ მხარის მკვიდრნი უკვე რამდენიმე წელიწადია ოცნებობდნენ. სინათლის ამ ენერგიამ აქაურთა კეთილი სახელის დაბრუნებასაც შეუწყო ხელი, პანკისელები ხომ ტრადიციულად, მშრომელი სტუმართმოყვარე ადამიანები არიან, რომლებმაც კარგად იციან ჯარისკაცური მამაცობისა და თავდადების ფასი. ამიტომაა, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, – ქართული შინაგანი ჯარების ბიოგრაფიაში პანკისის მოვლენები საამაყო ფურცლებად ჩაიწერება და მომავალი თაობებისთვის მუდამ იქნება შესწავლისა და დაფიქრების ობიექტი. და განა მარტო იმიტომ, რომ მათ პირნათლად, მიზანმიმართულად და ყოველმხრივ გათვლილი მოქმედებით შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, არამედ, უპირველესად, იმიტომაც, რომ მძიმე და რთული საბრძოლო დავალებების ჟამსაც ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ ქართული, მართლმადიდებლური სულისკვეთება და შემართება!"

სოფელ ყვარელწყალში შინმოუსვლელი გიორგი ხადილაშვილის ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მუზეუმად ქცეულ კარმიდამოში, უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ისინი შინაგანი ჯარების აქ განლაგებულ სამხედრო ნაწილს სტუმრობდნენ და დიდსა და პატარას უნდოდა თავიანთი სამადლობელი სიტყვა გამოეთქვა.

**მარიამ ბილანიშვილი:** – ამ ბიჭებმა ჩვენ სიცოცხლის იმედი დაგვიბრუნეს, ჩვენი სოფელი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ... ცასა და მიწას შორის ვიყავით გამოკიდებული... სოფელი აახმაურეს. თუნდაც დღევანდელი დღე არ დაგვავიწყდება. ამ გზაზე, სამწუხაროდ, ბევრ მაღალჩინოსანს ჩაუვლია, მაგრამ არც გახსენებიათ აქ ქართული სოფლის არსებობა... ამ ბიჭებმა გვაგრძნობინეს, რომ ჩვენზეც ფიქრობენ.

**მიხო სოხურაშვილი:** – შინაგანი ჯარების შემოსვლის შემდეგ შეეტყო აქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი, არადა, გაქცევაზე იყო ხალხი... დღისით, მზისით არავინ გვეპუებოდა, თითქოს უპატრონოები ვყოფილიყავით, გასაყვანი გაჰყავდათ, გალანძღვითაც ჩვენ გვლანძღავდნენ გადამთიელები... დღეს კი ეს ბიჭები არიან აქ და აქ უნდა დარჩნენ, თუ გვინდა, რომ ქართველი კაცი წელგამართული იყოს პანკისში!

**სიკო ყუდალაშვილი:** – აი, თქვენს მოსვლამდე ქართული სალოცავებიც კი გამოიკეტა, ეს ნორმალურია? თქვენი მოსვლის შემდეგ კი დღის ცისკარი გაიხსნა, ჯოყოლოში მოძღვარიცა გვყავს და თანდათან ივსება მრევლი... მადლობა უფალს, ხელახლა გამოვიხედეთ თვალებში!

ათამდე სადღესასწაულო კონცერტი ჩაატარა იმ დღეს პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარების ანსამბლმა „მხედრულმა", რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული ქორეოგრაფი, პოლკოვნიკი ჰამლეტ კობეშავიძე ხელმძღვანელობს. აღტაცებას ვერ ფარავდნენ მართლმადიდებელნი თუ არამართლმადიდებელნი. ერთმანეთს ცვლიდა ქართული საგალობლები, მხედრული საცეკვაო ნომრები. მღეროდნენ და ცეკვავდნენ ქართველები, ქისტები და მთელ ამ პროცესიას წინ უძღოდა სოფელ ჯოყოლოს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ახლადდანიშნული მოძღვარი, ახალგაზრდა ღვთისმსახური მამა ნიკოლოზ ალავიძე. ხეობაში დააბიჯებდა ქრისტეს ჯვარი. მიმწუხრის ჟამს კი, კიდევ ერთხელ, და ახლა უკვე საბოლოოდ, განიხსნა აღსავლის კარები და აქამდე ჩარაზულმა მართლმადიდებლურმა სალოცავმა ღმერთს შეჰღაღადა, – „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა"... ბრწყინვალე დღესასწაულმა რწმენა და სულიერება დააბრუნა ხეობაში, თუმცა, პანკისში ჯერ კიდევ ბევრი მართლმადიდებლური სალოცავი ელოდება მრევლს...

**სურათზე: ლოცვა ჯოყოლოს ტაძარში.**

### პოლკოვნიკი წიგნს წერს

## ხოროჯოს მთის საიდუმლოებანი

**„... 2002 წლის 10 მარტს, 11 საათზე, შინაგანი ჯარების ძირითადმა და სარეზერვო ძალებმა თავი მოიყარეს პანკისში, სოფელ დუისის მისადგომებთან განლაგებულ ბლოკ-საგუშაგოს ტერიტორიაზე.** დღის 13 საათზე კი მათ დაემატა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების სპეციალური დანიშნულებისა და ოპერატიული დანაყოფები. გამოჩნდა საბრძოლო და სპეცტექნიკაც. ყოველივე ამან გარკვეული ზეგავლენა იქონია უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფსიქოლოგიურ განწყობაზე და, როგორც იმჟამინდელი ოპერატიული მონაცემებიდან გახდა ცნობილი, მათი უმეტესი ნაწილი სოფელ ომალოს მიმართულებით გაიხიზნა და ხოროჯოს მთას შეაფარეს თავი!" – ეს ნაწყვეტი ამოღებულია შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილის, პოლკოვნიკ ლექსო მიქავას ვრცელი ნარკვევიდან, რომელსაც „ხოროჯოს საიდუმლოებანი" უწოდა ავტორმა და შინაგანი ჯარების გაზეთ „ფარის" რედაქცია ცალკე წიგნად ამზადებს გამოსაცემად.

იმ დღიდან, რაც პანკისის თემამ კიდევ ერთხელ შეაშფოთა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, მასზე არაერთ კალმოსანს, ჟურნალისტსა თუ პოლიტიკოსს, მტერსა თუ მოყვარეს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება და მეტი წილი ამ მოსაზრებებისა ახმოვანებდა ერთ კატეგორიულ მოთხოვნას, – რაც შეიძლება ღია და გამჭვირვალე ყოფილიყო პანკისის თემა, რათა ქვეყანას სცოდნოდა, რას აკეთებდნენ და რას აპირებდნენ ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ერთი შეხედვით, არ შეიძლებოდა ყოველი მათგანისთვის დაგეწუნებინათ ამ მოთხოვნათა შინაარსი, რადგან სწორედ ამაში ხედავდნენ ისინი „დემოკრატიას", მაგრამ არსებობდა მრავალთაშორის კიდევ ორი ასპექტი, რომელიც ძალოვნებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს აიძულებდა სიფრთხილეს. პირველი გახლდათ მტრული ძალების მიერ „მოხერხებულად შემოგდებული" დეზინფორმაციის შესაძლებლობა და მეორე, – ამგვარ საქმეებში სამხედრო საიდუმლოებათა მკაცრად დაცვის აუცილებლობა.

ასე იყო თუ ისე, მიუხედავად მასმედიის და ცალკეულ პოლიტიკოსთა „ახმაურებისა", ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები განუხრელად, ფრთხილად და თანამიმდევრულად ასრულებდნენ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მიერ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. მართალია, დრო თანდათან მიდიოდა და ამასობაში ათასი ჯურის კრიმინალების, უკანონო ბანდფორმირებების, ადამიანთა გამტაცებლების, ნარკობარონებისა და გადამყიდველების მიერ უკი-



პოლკოვნიკი ლექსო მიქავა.

დურესად შეწუხებული მოსახლეობა სამართლიან პროტესტს გამოთქვამდა, მაგრამ საბოლოო შედეგებმა ყველას დაანახვა ძალოვანთა მოქმედების მართებულობა.

მიუხედავად იმისა, რომ კვლავ არსებობს პანკისური პრობლემები, უკან დარჩა ჩვენი ქვეყნისა და მისი ძალოვანი სტრუქტურებისთვის უმწვავესი მოვლენების განვითარების შესაძლებლობა. უკვე შეიძლება შედარებით ღიად გავცეთ პასუხი ყოველგვარ კითხვას, რათა დავაკმაყოფილოთ „ცნობისმოყვარეთა" მოძალებული ინტერესი. ამავდროულად, ქვეყანამ უნდა იცოდეს, რისთვის და რატომ ათენებდნენ უძილო ღამეებს ჩვენი ჩაფხუტიანი ბიჭები.

სწორედ ამას ისახავს მიზნად ერთ-ერთი თვითმხილველისა და უშუალო შემსრულებლის, ბატონ ლექსო მიქავას ნარკვევი, რომელშიც 2002 წლის 7-8 დეკემბრის ღამიდან 2003 წლის დეკემბრამდე პანკისის მოვლენათა ორწლიანი პერიოდი ქრონოლოგიური სიზუსტით იქნება ასახული. ამიტომაც საინტერესო უნდა იყოს ეს წიგნი ყველასთვის.

### იმედი

## სარდალმა მეორედ დაჭრა საზეიმო ტორტი



**ამას წინათ შინაგანი ჯარების ახალმა სასწავლებელმა მორიგი გამოშვება იზეიმა.** სარდალმა, ბატონმა გიორგი შერვაშიძემ ახლა უკვე მეორედ დაჭრა საზეიმო ტორტი და მოწვეულ სტუმრებთან ერთად მამულის სამსახურში ჩამდგარ კურსდამთავრებულებს გზა დაულოცა.

თურქეთის ჟანდარმერიის შტაბის ვიცე-პოლკოვნიკმა, საქართველოს შინაგანი ჯარების საკონსულტაციო და სასწავლო მომზადების ჯგუფის უფროსმა, ბატონმა აბდულაჰ აშიქმა კი თავის გამოსვლაში აღნიშნა: 1996-97 წლებში საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის ხელმოწერილია ხელშეკრულება ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა სწავლა-მომზადების შესახებ. მას შემდეგ ათობით ქართველმა გაიარა სპეციალური მომზადება თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში, 2002 წლის 30 მაისს კი, თბილისში, შინაგანი ჯარების ბაზაზე აშენდა და გაიხსნა სპეციალიზებული სასწავლებელი, რომლის მეორე გამოშვების საზეიმო ცერემონიალსაც დღეს ვესწრებით. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ქართულ-თურქული ურთიერთთანამშრომლობის სფეროში. ამჟამად, კიდევ 49 სამხედრო მოსამსახურემ დაამთავრა ჩვენი კურსები და, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველმა ბიჭებმა, მართლაც, შესაშური მონდომება და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. დღეს მათი მომზადების დონე ტოლს არ უდებს „ნატოს" სტანდარტებს. ამიტომაც, სიამოვნებით ვულოცავ ყოველ მათგანს ამ გამარჯვებას. ძალზე დატვირთული, ხშირ შემთხვევაში, დამღლელი 16-კვირიანი სასწავლო პროცესის დროს, თეორიულ თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მათ წარმატებით აითვისეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული უნარ-ჩვევები და, მჯერა, ამ ჩვევებს ისინი წარმატებით გამოიყენებენ, როგორც საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ისე მსოფლიოს ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის დასამკვიდრებლად!

### ფაქტი

## სახალხო დამცველი სამხედრო ნაწილში

**შინაგანი ჯარების სარდლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის, თითოეული ოფიცრისა თუ ჯარისკაცის უფლებების დაცვას. ამ მიზნით, ჯერ კიდევ ექვსიოდე წლის წინათ, ჯარებში შეიქმნა ჯარისკაცთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის ჯგუფები და საბჭოები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის კვირეულით გათვალისწინებული ერთ-ერთი შეხვედრა ამას წინათ ომბუდსმენმა ნანა დევდარიანმა შინაგანი ჯარების პირად შემადგენლობასთან მოაწყო.**

რა თქმა უნდა, შეხვედრაზე ამომწურავად გაეცა პასუხი სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ყოველ ფაქტს.

შეხვედრაზე ფრაგმენტულად მიმოიხილეს ადამიანთა უფლებების დაცვის დოკუმენტთა ისტორიული ქრონოლოგიაც.

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მაღალ კულტურაზე მიანიშნებენ ჯერ კიდევ ფეოდალური ხანის სამართლის ძეგლები: ბაგრატ კურაპალატის „სამართლის წიგნი", გიორგი ბრწყინვალის „ხელმწიფის კარის გარიგება", ვახტანგ მეექვსის „კანონთა წიგნი" და მრავალი სხვა. და ასეთი ტრადიციების ქვეყანაში, რა გასაკვირია, რომ ადამიანთა უფლებების მთავარ დამცველთან შეხვედრამ ერთობ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მით უმეტეს, რომ შეხვედრაზე პირუთვნელი საუბარი იყო ქვეყანაში ამ თვალსაზრისით მოსაგვარებელ პრობლემებზე, რომელთა აღმოფხვრა არა მარტო ჩვენი, თითოეული მოქალაქის ძალისხმევაზე, არამედ საკანონმდებლო დოკუმენტების დახვეწასა და შემდგომ სრულყოფაზეა დამოკიდებული.

შეხვედრაზე ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა შინაგანი ჯარებისა და სახალხო დამცველის აპარატის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქის სამხედრო პროკურორი კობა კობიაშვილი და შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი შერვაშიძე.

### სულიერება

## როცა გული გულობს

**ამას წინათ, კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი მოხდა შინაგანი ჯარების ჰოსპიტალში, – ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელდასხმით მამა გრიგოლმა აკურთხა ეს სამედიცინო დაწესებულება და პალატებში და ყაზარმებში სამლოცველო კუთხეები მოეწყო.**

ჯარების ისტორიაში ასეთი მოვლენები არც ისე იშვიათია, ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯარისკაცთა და ოფიცერთა სულიერ წრთობას და, როგორც ეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა, შინაგან ჯარებსა და საპატრიარქოს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღეს, შინაგან ჯარებში ასეთი მაღალი, მართლმადიდებლური სულიერების საფუძველი, მისი ხელმძღვანელობიდან მოდის, – თვითონ სარდალი, გენერალ-მაიორი, გიორგი შერვაშიძე – გახლავთ ყოველივე ამის სულისჩამდგმელი.

განსაკუთრებით გამოიკვეთა ეს სულისკვეთება 2002 წლის მიწურულიდან, როდესაც ჰოსპიტლის უფროსად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მაიორი გელა ჩაჩიბაია. ბატონი გელა სამი სამედიცინო სახელმძღვანელოს, ორი მონოგრაფიისა და მრავალი სამედიცინო წერილის ავტორი გახლავთ. მისი ხელდასხმით ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა კატასტროფის სამედიცინო სამსახური, რამაც საფუძველი დაუდო ძალოვანი სტრუქტურებისთვის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა საველე მედიცინა და ქირურგია.

ახალმა უფროსმა ჰოსპიტალში ცნობილი პროფესიონალები მოიწვია, – ტრავმატოლოგი თამაზ კერძევაძე, უროლოგი მალხაზ ჯანიკაშვილი და სხვები. ამან სამხედრო ჰოსპიტალს საშუალება მისცა გამხდარიყო მძლავრი ქირურგიული კლინიკა და ზოგადი სამკურნალო დაწესებულება. ასე რომ, ახლა უკვე ღვთის მადლით ნაკურთხი, ძლიერი და მაღალკვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული ჰოსპიტალი ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების ჯანმრთელობის სადარაჯოზე საიმედოდ დგას. ოღონდ, ეგ არის, ქვეყანაში საერთოდ არსებული ეკონომიკური შეჭირვებიდან გამომდინარე, მის ტექნიკურ ბაზას გარკვეული დახმარება სჭირდება და, იმედია, ეს საკითხიც უახლოეს მომავალში მოგვარდება! თუმცაღა, როცა გული გულობსო, ნათქვამია... გული კი, ამ კოლექტივში მართლაც გულობს და ამ ჯანმრთელი გულის პულსი, გვჯერა, სიმხნევედ და მაცოცხლებელ ელექსირად მოევლინება ყოველგვარ ტკივილს.

**ნინო მელაძე,**
**შინაგანი ჯარების გაზეთ „ფარის" რედაქტორის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი.**

### ლექსად მათქმევინა

## ახლა აქ დგახარ...



პანკისის ხეობაში, სოფელ ბირკიანში ცხოვრობს 82 წლის პედაგოგი ევა ქადაგიძე. ბევრი ჭირი უნახავს მას და მის ოჯახს, მაგრამ იმედი არასოდეს დაუკარგავს. როგორც თვითონ ამბობს, განსაკუთრებით მას შემდეგ გაღვივდა იმედი, რაც აქ ქართული შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები შემოვიდნენ. სწორედ ამ იმედმა აამღერა იგი ლექსად.

– ამას წინათ, შინაგანი ჯარების ვიცე-პოლკოვნიკი გია ჩომანია გავიცანი, შვილო. მოგვიკითხა, რამე ხომ არ გიჭირთო, მოგვეფერა და იმედი ჩაგვისახა. გია ჩემი შვილის სწორია და მასში სამშობლოს დამცველი ვაჟკაცის სული დავინახე. აფხაზეთიდან დევნილი, ათას ჭირვარამგამოვლილი კაცი ახლა აქ, პანკისში იცავს ქვეყნის სიმშვიდეს. სწორედ მისმა ზოგადმა სახემ დამაწერინა ჩემი ალალი სტრიქონები და იგი ყოველ თქვენგანს ეძღვნება, შვილებო!

**ალაზნის პირას, ზღაპრულ მდელოზე,**
**იდექ მდუმარედ, ვით გორგასანი.**
**ჩაფიქრებული უცქერდი ზვირთებს,**
**თავს დაგყურებდნენ მთანი მაღალნი!**
**ო, ადარებდი ამღვრეულ ტალღებს,**
**შენ, აფხაზეთის არეულ ყოფას,**
**გელანდებოდა ნგრევა, სიკვდილი,**
**მშობლიურ კუთხის ყოფნა-არყოფნა.**
**ახლა აქ დგახარ ხმალშემართული,**
**პანკისის ხევში, ალაზნის მხარეს,**
**ხავსმოდებული ლოდები გეტყვის,**
**ვინ პატრონობდა ამ არემარეს.**
**ვახტანგ, თამარი, დავით, ერეკლე,**
**ძლევამოსილი მხედართმთავრები...**
**ვიცი, იბრძოლებ სამშობლოსათვის,**
**მაღალ ღმერთს ვფიცავ, მათ ემგვანები...**

**ევა ქადაგიძე,**
**ს. ბირკიანი.**

## მტერს დაუყენეთ თვალები...

დილიდან უჩვეულო გამოცოცხლება იყო ქალაქ თელავში. საზეიმოდ მორთულ ქუჩებში სამხედრო სასულე ორკესტრი უკრავდა. თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე კი გაოცებული კახელები გროვდებოდნენ და როცა გაიგებდნენ რაშიც იყო საქმე, აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ.

საზიდარი ქუჩის კუთხეში გაეჩერებინა ჭოლა მაისურაძეს და პირჯვარს იწერდა.

– რა იყო, ძიაკაცო, რა გიკვირთ?

– ი, ი... აგერ უკვე ოთხმოცისა მოვიყარე და ეგეთი „მუზიკა" არასოდეს მინახამს თელავში...

– დღეს შინაგანი ჯარების იუბილეს აღნიშნავენ, ბატონო ჭოლა...

– ატა, ტა, ტა, ტა! ენგრე, შვილებო, ენგრე, მტერს დაუყენეთ თვალები!!!

პატარა კახის ძეგლი გადაჰყურებდა მშობლიურ თელავს...

### რწმენა

## ბიძამ დისწული მოინახულა...

**იმ დღეს შესანიშნავ განწყობაზე იყო შინაგანი ჯარების რიგითი ნიკა ღურწკაია – პანკისის ხეობაში, სადაც ის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას ვაჟკაცურად იხდის, ბიძამისი ეწვია. ბიძა კი გამორჩეული ჰყავს ნიკას, – თბილისის ფერიცვალების მონასტრის წინამძღვარი ბერი დოროთე!**

– როგორმე შევძლებდი ჩემი დისშვილი ჯარიდან დამეხსნა, – ორას ლარს სადმე ვიშოვიდით, მაგრამ ღვთისა და ერის წინაშე უნდა იყო მართალი. ნუთუ შეიძლება, მართლმადიდებელმა ქართველმა არ მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი მამულის წინაშე, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანას უჭირს? მაპატიოს უფალმა სხვისი განსჯა, მაგრამ ნამდვილად მიკვირს იმათი, ვინც ყველანაირად ცდილობს, თავი აარიდოს სამშობლოს დამცველთა რიგებში დგომას. მამულისა და რწმენის ჯარისკაცობა ხომ ღვთითკურთხეული მადლია, რომელიც მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად უნდა მოეფინოს! – ბრძანა მამა დოროთემ.

ასეთი რწმენითა და შთაგონებით აღუზრდიათ ნიკა ღურწკაია მშობლებს, ჯულიეტა და გულადი ღურწკაიებს და ამიტომაც გვინდა, ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში გავუგზავნოთ ეს მადლობის ბარათი მათ!

გმადლობთ, ვაჟკაცი შვილის აღზრდისთვის!

„აბჯარი" მოამზადეს ზაურ ფიფიამ, სპარტაკ ქობულიამ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

კრიმინალი და საზოგადოება

**ბოლო წლებში საქართველოში ერთობ გართულდა კრიმინოგენური სიტუაცია. [illegible]**

[illegible]



[illegible]

— ქალბატონო ლენა, ხშირად [illegible]

# სენი მხოლოდ სწორი დიაგნოზით განიკურნება

[illegible] მსგავს ინტერესთა შეჯახებებს კი თან ახლავს ყაჩაღობაც, მკვლელობაც, ადამიანთა გატაცებაც და ა. შ. ეს ომია, ნაღდი ომი, რომლის დროსაც მსხვერპლს არ ერიდებიან. ომში ვიღაცა იმარჯვებს, ვიღაცა მარცხდება, გამარჯვებული ცდილობს ნებისმიერი ხერხის გამოყენებას, დამარცხებული კი — თავის საბოლოოდ გადარჩენას. ამიტომ გამართულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ასეთი გამოთქმაც კი არსებობს, — სიყვარულში, ბიზნესსა და ომში ყველაფერი დასაშვებიაო. საბჭოური მენტალიტეტის ადამიანებისთვის ეს იქნებ ამჟამადაც მიუღებელია, მაგრამ, რას ვიზამთ, დრო ასეთი დადგა და მას უკან ვეღარ დავაბრუნებთ.

ამასთან, ნებისმიერ დანაშაულს უნდა შევხედოთ როგორც დანაშაულს და არა პოლიტიკის საგანს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დანაშაული არ უნდა გავაპოლიტიკუროთ, პოლიტიკის რანგში არ უნდა ავიყვანოთ. ამით სამართალდამცავ ორგანოებს ხელი ეშლებათ, უფრო მეტიც, — გზები ეჭრებათ. კი, არსებობის უფლება ყველა ვერსიას აქვს, მაგრამ ზედმეტი პოლიტიზება ძალზე ხშირად იწვევს ჭეშმარიტებიდან გადახვევას, სინამდვილის მიჩქმალვას.

რამდენჯერ გავხდით ასეთი ფაქტის მოწმე: მოხდა, ვთქვათ, ესა თუ ის დანაშაული. იმის მაგივრად, რომ ნამდვილი დამნაშავე ვეძებოთ, უმალ ხელს ვიშვერთ ხელისუფლებისკენ, უფრო მეტიც, პრეზიდენტისკენ. წვიმის წამოსვლას ვიღა ჩივის, სახლში რომ ვინმეს ჭიქა გაუტყდეს, იმასაც კი პრეზიდენტს აბრალებენ. მიპასუხეთ, — რა სიყვარულია საკუთარი ქვეყნისა, რა პატივისცემაა მისი დამოუკიდებლობისა, როცა ამბობენ, — ამ ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავსო? რადა სპობენ ამდენი ხნის მონაპოვარს, ბრძოლით, შრომით მონაპოვარს, რად ასხამენ ლაფს არა მარტო ხელისუფლების, არამედ თვით ხალხის ძალისხმევას? მიმოვიხედოთ გარშემო, ასეთი იყო საქართველო ამ 10-20 წლის წინათ? ასეთი სახელი ჰქონდა მსოფლიოს მასშტაბით?

**— ბევრი ამას მხოლოდ დემოკრატიის მონაპოვრად მიიჩნევს**

[illegible] ნებისა, მაგრამ ამავე დროს, ყოველგვარი დემოკრატია, ყოველგვარი რეფორმა, უნდა ექვემდებარებოდეს კანონსაც და მორალსაც. ახლა სიტყვის თავისუფლების ნიღბით ხელისუფლების ან ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ აკეთებენ ცილისმწამებლურ განცხადებებს, და ამაზე პასუხს არ აგებენ. ეს არაა არც საზოგადოების საკეთილდღეოდ ზრუნვა და არც

**სვამენ ასეთ კითხვას, — რატომ არის ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი?**

— პრაქტიკაში ბევრჯერ შევხვედრივარ ასეთ ფაქტს: არის, ვთქვათ, ერთი და იგივე ხასიათის ორი დანაშაული (დამნაშავეები მხოლოდ სახელებითა და გვარებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან). და ასეთ დროს, ძალიან მაღალი რანგის ჩინოსნები ან არასამთავრობო ორგანიზაციები მოგვევლინებიან ხოლმე ერთნი დაზარალებულის, ხოლო მეორენი ბრალდებულის დამცველებად; არ შეიძლება ერთი და იმავე საქმის შეფასება სხვადასხვა კუთხიდან; ნებისმიერი დანაშაული ცივი გონებით უნდა განვსაჯოთ და აზრიც ერთნაირი და სამართლიანი გამოვიმუშაოთ. მაპატიოს ყველამ და,

**[illegible] ზარალებულმა, ვთქვათ, პოლიციას არ მიაკითხა, კავშირი უშუალოდ კრიმინალებთან გააბა და საქმეც მოაგვარა...**

— არ უარვყოფ, უღირსები, არაპროფესიონალები არიან სამართალდამცავ სტრუქტურებშიც. შეცდომები გვაქვს კადრების შერჩევაში, პატიოსანი და ერთგული ხალხით ძალოვანი სტრუქტურების დაკომპლექტებაში, მაგრამ აქაც მარტოოდენ ხელისუფლების ან პირადად პრეზიდენტის დადანაშაულება არ შეიძლება, როგორც ამას გარკვეული პოლიტიკური ძალები აკეთებენ. ეს კადრები ჩვენგან, ჩვენი რიგებიდან არ მიდის? აბა, მას რაში ვადანაშაულებთ? ამასთან, რკინის კაცია, არ მოსწონთ, რბილია, ლოიალურია, — არც ის მოსწონთ. კომუნისტების დროს ბევრი საქმე კეთდებოდა მუშტით, თვალების ბრიალით, ახლა იგი უნდა შეიცვალოს დემოკრატიით, ჰუმანიზმით. ეს ადვილი საქმე არაა. ამასაც გამოცდილების დაგროვება, კალაპოტში ჩაჯდომა სჭირდება. უბრალოდ ვწუხვარ, რომ ჩვენთან დიდი დრო იხარჯება და წესრიგი მალე ვერ მყარდება. თუმცა მწამს, უკეთესობა უთუოდ იქნება!

**— ქალბატონო ლენა, გართულებულ კრიმინოგენურ სიტუაციას ხშირად უკავშირებენ ჩვენს გაჭირვებულ ყოფას, ჩვენი ხალხის სადღეისო მდგომარეობას. შეიძლება ამით თავის მართლება?**

— ჩვენი გაჭირვებული ყოფა არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი საერთო ფონის გამუქებისა. რა, განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში არ ხდება დანაშაული? ხდება, ხან ჩვენზე უარესიც, ამაზრზენიც. ჩვენ კი მაინც ვცდილობთ სადღეისო პრობლემებით ბოროტება გავამართლოთ, ამით პოლიტიკაში ადგილი დავიმკვიდროთ, ხელისუფლების ლანძღვით რაღაც ძალები ჩვენსკენ გადმოვიბიროთ; ვიმეორებ, ახალი სახელმწიფოს მშენებლობას ყოველთვის თან ახლავს დანაშაულის ზრდა, საზოგადოების კრიმინალიზაცია. მაგრამ ეს კრიმინალიზაცია დროულად უნდა შეჩერდეს, ვითარება გაჯანსაღდეს. ჩვენთან ეს პროცესი უკვე დაიწყო. და იგი მალე დამთავრდება, თუ პრობლემები კომპლექსურად გადაწყდება, კერძოდ, — ქვეყანაში რეალური კანონები შემუშავდება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, პოლიტიკას დანაშაული ჩამოშორდება, მთელი საზოგადოება მორალურ-ზნეობრივად დაიწმინდება და კრიმინოგენურ სიტუაციას სწორი დიაგნოზი დაესმება.

**აბა, გაბედე და რომელიმე კორუფციონერს, მით უმეტეს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეს, შეეხე, აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდე. იმავე წამს ატყდება აჟიოტაჟი — პროკურატურამ ეს რა გააკეთაო, ათასი ქვეყნის დამღუპველი დადის და ეს პატიოსანი კაცი დააპატიმრაო. წამოვა წერილები, ტელეფონის ზარები... თუ მათ ჭკუაზე არ გაიარე, მგელი ხარ, სამშობლოს მოღალატე ხარ. ასეთი პოლიტიკაა ღალატიც და ღალატზე უარესიც.**

საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. ამაზე კანონის მიღებისას უნდა დავფიქრდეთ. კანონი რომელიმე პიროვნების კერძო ინტერესებს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ქვეყნის თავისებურებას და იქ შექმნილ სიტუაციას უნდა ერგებოდეს.

**— კერძოდ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ავიღოთ თუნდაც წინასწარი დაკავების ვადები. არ შეიძლება ჩვენს პირობებში 48 საათში მიიღო ისეთი შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომ ამა თუ იმ პირის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი დადგეს. წარმოუდგენელია, მაგალითად, მესტიის ან ყაზბეგის რაიონში რთული, ჯგუფური, მრავალეპიზოდიანი დანაშაულისას ასეთ მოკლე დროში შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება. აი, ესეც უშლის ხელს სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას...

ალბათ, იცით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 900-მდე ცვლილება შევიდა ერთი წლის განმავლობაში. შეიძლება ასეთ ვითარებაში კანონის სრულყოფილებაზე ვიმსჯელოთ? მე არ ვამტკიცებ, რომ ჩვენში პროფესიონალიზმი უმაღლეს დონეზეა და მხოლოდ კანონმდებლობა გვიშლის ხელს, არაპროფესიონალიზმიც ჩვენი გაჭირვებაა, მაგრამ



ხმის ჩახლეჩამდე ყვირიან, — კორუფციული საქმეები ბოლომდე არ მიჰყავთო. აბა, გაბედე და რომელიმე კორუფციონერს, მით უმეტეს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეს, შეეხე, აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდე. იმავე წამს ატყდება აჟიოტაჟი, — პროკურატურამ ეს რა გააკეთაო, ათასი ქვეყნის დამღუპველი დადის და ეს პატიოსანი კაცი დააპატიმრაო. წამოვა წერილები, ტელეფონის ზარები... თუ მათ ჭკუაზე არ გაიარე, მგელი ხარ, სამშობლოს მოღალატე ხარ. ასეთი პოლიტიკაა ღალატიც და ღალატზე უარესიც. ჩვენთან სახელმწიფოებრივი იდეოლოგია გაქრა მიიჩქმალა. სამაგიეროდ, წამოტივტივდა კერძო, პირადი იდეოლოგია, რომელიც მშვენივრად მოირგო ზოგიერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმაც და ჩვეულებრივმა ჩინოვნიკმაც. არადა, აუცილებლად გვჭირდება სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებული იქნება ჭეშმარიტებაზე, დემოკრატიაზე, ხალხის ინტერესებზე...

**— სამართალდამცავები საყვედურს გამოთქვამენ, — მარტოოდენ ჩვენი ბრძოლით არაფერი გამოვა, თუ თავად საზოგადოებაც არ დაგვეხმარაო. ამ საზოგადოებას კი თავისი ათასი გაჭირვება აქვს. ან რით მიეხმაროს, ვთქვათ, პოლიციას, ცარიელი ხელებით?**

— საზოგადოებას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. აუცილებელი არაა ხელში იარაღის აღება და კრიმინალების წინააღმდეგ უშუალო ბრძოლა. გერმანიაში, მაგალითად, თუ რომელიმე უბანში დანაშაული მოხდა, იმ უბნის მოსახლეობა ღამე არ დაიძინებს, ვიდრე დამნაშავეს არ მიაგნებს, ან სამართალდამცავებისთვის რაიმე ინფორმაციას არ მოიპოვებს. ჩვენთან რა ხდება? ორ ახალგაზრდას კლავენ უნივერსიტეტის ბაღში, ირგვლივ მისი მეგობრებია, სტუდენტებია და ბოლოს მკვლელო- [illegible]

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

# ოპერაცია „ერაყის გათავისუფლება“

## მუშავდება ერაყში ახალი რეჟიმის დამყარების საიდუმლო გეგმა

**ბუშის ადმინისტრაციაში მაღალ დონემდე წამოიჭრა უთანხმოებანი ახალ მთავრობასთან დაკავშირებით, რომელსაც აშშ ფარულად აყალიბებს ქუვეითში, რათა იგი ერაყის მართვას შეუდგეს სადამის დამხობისთანავე.**

როგორც „გარდიანმა“ შეიტყო, დაგეგმილია, მთავრობაში შევიდეს 23 სამინისტრო, რომელთაგან თითოეულს სათავეში ჩაუდგება ამერიკელი. თითოეულ სამინისტროში იქნება ოთხ-ოთხი ერაყელი მრჩეველი, რომლებსაც ასევე ამერიკელები დანიშნავენ.

მთავრობა თანამიმდევრულად გახელისუფლდება ერაყის ქალაქებში, რაიონები, რომელსაც გენერალი ფრენქსი „განთავისუფლებულად“ გამოაცხადებს, გადაიცემა დროებითი მთავრობის სამართავად, რომელიც დაექვემდებარება გადამდგარი ამერიკელი გენერლის, ერაყის სამხედრო ოკუპაციისათვის პასუხისმგებელ პირად დანიშნული ჯეი გარნერის საერთო კონტროლს.

როგორც ჩანს, მთავრობის შემადგენლობის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებენ ამერიკელები, კერძოდ, თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლ ვულფოვიცი. ეს აღიზიანებს გენერალ გარნერს, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს პირველ პირს, მაგრამ იძულებული გახდა, დათანხმებოდა მრჩეველთა პოსტებზე იმ ერაყელების დანიშვნას, არაერთგვაროვან რეაქციას რომ იწვევენ. მათგან ყველაზე სადავო ფიგურას წარმოადგენს ოპოზიციური ერაყის ეროვნული კონგრესის მეთაური აჰმად ჩალაბი და მისი დაახლოებული პირნი, მათ შორის — ჩალაბის ძმისწული.

დევნილობის წლებში ჩალაბი დაფინანსების იმედით ყოველნაირად ცდილობდა, თავი მოეწონებინა კონგრესისათვის, და პე-





ნტაგონის ნამდვილი ნებიერა გახდა ერაყის ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მომხრეა თავდაცვის მინისტრი რამსფელდი.

მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მას ეჭვის თვალით უყურებენ. ჩალაბის დიდი იმედი ჰქონდა, რომ დროებით მთავრობაში პრემიერ-მინისტრად დააყენებდნენ და გაწბილებული დარჩა, რადგან ამერიკელთა გეგმა ამ პოსტს არ ითვალისწინებს. ყოფილ ბანკირს შესთავაზებენ მრჩევლის ადგილს ფინანსთა სამინისტროში.

ერაყის ეროვნული კონგრესის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩალაბი არ დათანხმდება უბრალო მრჩევლის პოსტს, მერე კი დასძინა: „რა თქმა უნდა, ეროვნული კონგრესი არ აპირებს რჩევა-დარიგებანი აძლიონ ამერიკელ მინისტრებს ერაყში. ჩვენ ვთვლით, რომ ამერიკელებმა არ უნდა უხელმძღვანელონ ერაყის სამინისტროებს. შეერთებული შტატები ლაპარაკობს ხელისუფლების გადაცემაზე გარდამავალი პერიოდის ერაყული ადმინისტრაციისათვის, ჩვენ კი დროებითი მთავრობის შექმნის მომხრენი ვართ“.

პირდაპირ მმართველობის ამბავი, ალბათ, დიდად არ მოეწონება გულზე ტონი ბლერს, რომელიც მოითხოვს ერაყის აღდგენაში გაეროსა და საერთაშორისო სტრუქტურების მონაწილეობას იმ იმედით, რომ შემოირიგებს ოპოზიციას ბრიტანეთში და დააცხრობს უთანხმოებებს ევროპაში.

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დაგეგმვის ჯგუფში ბრიტანეთის „შედარებით ცოტა“ წარმომადგენლები შეიყვანეს.

წინა კვირას, აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა კონგრესს განუცხადა, რომ სადამის რეჟიმის დამხობისთანავე ამერიკის ჯარები კონტროლს დაუწესებენ ერაყის მართვას. მისი ერთადერთი დათმობა ის იყო, რომ ეს გაკეთდება მსოფლიო გაერთიანების „სრული ინფორმირების“ პირობებში და „გაეროს, როგორც სპეციალური კოორდინატორის თანდასწრებით“.

შეჰყავს რა მთავრობაში ჩალაბი და მისი ახლობლები, ვულფოვიცი ცდილობს, დააშოშმინოს ერაყელთა ეროვნული კონგრესის ლიდერი. მაგრამ, ამავე დროს, იმხედრებს გენერალ გარნერსა და ვაშინგტონის წარმომადგენლებს, რომლებსაც ჩალაბის მაღალ პოსტზე დანიშვნა უადგილოდ მიაჩნიათ.

ჩალაბი იორდანიაში იყო Petra-ს ბანკის პრეზიდენტი და ამ ბანკის გაკოტრებამ გააღატაკა ბევრი მეანაბრე. იორდანიის სასამართლომ იგი დაუსწრებლად ცნო ბრალეულად თაღლითობაში, თუმცა, ყოფილი ბანკირი ამტკიცებს, რომ უბრალოა.

ჩალაბი 1956 წლიდან არის წასული ერაყიდან. იგი მხოლოდ ცოტა ხნით ჩავიდა იქ 90-იან წლებში, რათა თურქეთის წინააღმდეგობის მოძრაობა წამოეწყო. მიაჩნიათ, რომ მხარდაჭერა, რომლითაც იგი სარგებლობს ერაყში, ძალზე მცირეა.

## სადამი „საღვთო ომს“ აცხადებს

**ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ომის დაწყებიდან უკვე მესამედ მიმართა ერს. როგორც როიტერი იუწყება, ამ მიმართვის გულისათვის დაარღვიეს ერაყის ტელევიზიის მაუწყებლობის ჩვეული გრაფიკი.**

ჰუსეინის სიტყვა მისი სახელით წაიკითხა ერაყის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ინფორმაციის მინისტრმა ას-საჰაფმა.

თავის სიტყვაში ჰუსეინმა დამპყრობლებს ჯიჰადი (საღვთო ომი) გამოუცხადა. გარდა ამისა, გამოთქვა რწმენა, რომ ხალხი გაიმარჯვებს და რომ ერაყელები ყველგან გაუწევენ მედგარ წინააღმდეგობას დამპყრობლებს.

„თქვენ უნდა ებრძოლოთ მას და მიაყენოთ დარტმები, სადაც წაასწრებთ. ერაყის ხალხი გაიმარჯვებს, მტერს კუდით ქვას ვასროლინებთ“, — კითხულობდა ას-საჰაფი ჰუსეინის სახელით.

„ჯიჰადი — ეს არის თითოეული თქვენგანის მოვალეობა. ვინც არ უნდა დაიღუპოს ამ ომში, მას ზეცა დააჯილდოებს. ომი — ეს ის არის, რასაც ღმერთი მოითხოვს ჩვენგან“.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ ჯიჰადი ინგლის-ამერიკის კოალიციის ძალების წინააღმდეგ — ეს არის „შანსი, მოიპოვო უკვდავება. ალაჰი გამარჯვებას მოგვიტანს და წყეული დამპყრობნი უკუიქცევიან“, — ნათქვამია მიმართვაში.

შეგახსენებთ, რომ წინა, 25 მარტს მიმართვაში სადამ ჰუსეინმა ერაყის მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხებსა და ტომებს მოუწოდა, შეუერთდნენ ერაყელი ერის ბრძოლას შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის აგრესიის წინააღმდეგ. ამავე დროს, სადამმა გასცა ინსტრუქციები, თუ როგორ აწარმოონ პარტიზანული





ომი მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ.

განცხადებაში, რომელიც ერაყის ტელევიზიით იქნა წაკითხული, სადამ ჰუსეინმა ქვეყანაში მცხოვრებ ტომებს მოუწოდა, არ დაელოდონ სამხედრო მეთაურების სპეციალურ ბრძანებას, და „ებრძოლონ მტერს, სადაც არ უნდა იყოს იგი“.

„მტერმა შეგვიგინა მიწა-წყალი, და ახლა შეიძლება, შეგვიგინოს ტომები და ოჯახები, — ნათქვამია სადამის განცხადებაში. — თუკი თქვენ მოწინააღმდეგეს თუნდაც მცირე დანაკარგს მიაყენებთ, არა აქვს მნიშვნელობა, როგორს, იგი უკუიქცევა. ებრძოლეთ ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე. თითოეული თქვენგანი სამხედრო წინამძღოლია“.

მიმართა რა იმათ, „ვისაც ჯერ არ გადაუწყვეტია, და სპეციალურ ბრძანებას ელოდება“, სადამ ჰუსეინმა განაცხადა: „ეს მიმართვა არის ბრძანება თითოეული ერაყელისადმი. ეს არის რელიგიის ბრძანება, ერის ბრძანება, ჯიჰადის ბრძანება“.

„ებრძოლეთ მათ პატარ-პატარა ჯგუფებად, დაესხით ხოლმე თავს მოწინავე ხაზზე და ზურგში, რათა გაჩერდნენ. ხოლო როდესაც გაჩერდებიან, შეუტიეთ,“ — მოუწოდა სადამ ჰუსეინმა.

## აშშ ომობს, ისრაელი კი იხარჯება

**ერაყის ომი ისრაელს უკვე 200 მილიონი დოლარი დაუჯდა. როგორც თელ-ავივის პრესა აღნიშნავს, დიდი ხარჯები მიადგათ დაწესებულებებსა და საწარმოებს, ვინაიდან აშშ ოპერაციის დაწყებიდან პირველი ორი დღის განმავლობაში ძალზე ბევრი ისრაელი მოქალაქე არ გავიდა სამუშაოზე.** ისინი საფარებში იმალებოდნენ ერაყული „სკად“ რაკეტების შიშით. სპარსეთის ყურის ომის დროს, 1991 წელს, ისრაელის ტერიტორიაზე 39 ასეთი რაკეტა აფეთქდა. საკმაოდ დიდი თანხა მოხმარდა არმიაში 11 ათასი რეზერვისტის დამატებით გაწვევას. ამას უნდა დაემატოს კიდევ მნიშვნელოვანი სახსრები, რომლებიც შეიძლება ითქვას, წყალში გადაიყარა, ვინაიდან, აშშ ოპერაციის დაწყებისთანავე ისრაელებმა ზურგის სამსახურის მითითების შესაბამისად მოაძრეს მცველები აირწინაღების ფილტრებს. ახლა ყველა ეს ფილტრი გამოსაცვლელია. ბევრი მეთვალყურის შეფასებით, თანხა — 200 მილიონი დოლარი არ არის საბოლოო. იგი არ ითვალისწინებს მაშველი სამსახურების ათასობით თანამშრომლისა და სამედიცინო მუშაკის ვაქცინაციის ხარჯებს, აგრეთვე დაწესებულებათა შენობების ჰერმეტიზაციას.

დიდძალი სახსრები მოხმარდა აგრეთვე ქვეყნის საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფას, მათ შორის, საჰაერო სივრცის დამცავ ფრენას.

## რამდენიმე სტრიქონით...

**მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინმა ამერიკა-ბრიტანეთის კოალიციის ძალებს ჯიჰადი გამოუცხადა, პენტაგონმა ნება დართო აშშ შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის უფროსს ტონი ფრენქსს, დაიწყოს ბაღდადზე შეტევა თავისი შეხედულებისამებრ.**

* * *

აშშ ჯარებმა ქერბელა დაბლოკეს და წინ მიიწევენ. ერაყის დედაქალაქზე შეტევა ამჟამად წარმოებს სამი მხრიდან. პირველი, ბაღდადის სამხრეთით — ქერბელადან, მეორე, სამხრეთ-აღმოსავლეთით — დივანიიდან, სადაც გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობს. და, მესამე, აღმოსავლეთით ელ-ქუტიდან.

* * *

**ნასირიის ჰოსპიტალში 9 დაღუპული ამერიკელი აღმოაჩინეს. ტყვეების გათავისუფლების სწორედ ამ ოპერაციის დროს დაიხსნეს 19 წლის ქალიშვილი რიგითი ჯესიკა ლინჩი, რომელიც ტყვედ მოხვდა 23 მარტს.**

* * *

**ეგვიპტის ხელისუფლებამ** მიიღეს გადაწყვეტილება, გააძევონ ქვეყნიდან მაღალი თანამდებობის ერაყელი დიპლომატი ჯაშუშობის ბრალდებით. კონსულმა რიალ ალ-ანიმ ერთ კვირაში უნდა დატოვოს ეგვიპტე.

* * *

**ოთხშაბათ დილას მოკავშირეებმა ახალი დარტყმა მიაყენეს ბაღდადის საპრეზიდენტო კომპლექსს. ბაღდადის ცენტრში გაისმა ექვსი მძლავრი აფეთქების ხმა — და სადამის რეზიდენციასა და ქალაქის სხვა ადგილებში აფეთქებათა შემდეგ ძლიერი ხანძარი დაიწყო.**

* * *

**ამერიკის არმიის** წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აშშ ჯარები მძიმე ბრძოლას ეწევიან ერაყის რესპუბლიკურ გვარდიასთან ქალაქ ქერბალას მისადგომებთან, რომელიც საკვანძო ფორპოსტია ბაღდადის გზაზე.

* * *

**„ალ-ყაიდამ“ შეიძლება, ტერაქტი განახორციელოს ქალების მეშვეობით. აშშ სპეცსამსახურები სწავლობენ ინფორმაციას, რომ „ალყაიდა“ თავის რიგებში იზიდავს ქალებს, რათა შემდეგ გამოიყენოს ისინი ტერაქტების განსახორციელებლად შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.**




* * *

**ერაყის ხელისუფლებამ** ავსტრალიელი რეპორტიორი გააძევეს. „თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან, რადგან წესები დაარღვიეთ, — განუცხადა მაკფებრანს ერაყელმა მოხელემ. — დაუყოვნებლივ შეკარით ბარგი, გაისტუმრეთ ანგარიში და დატოვეთ ჩვენი ქვეყანა“.

* * *

**კანადაში იდუმალი პნევმონიისაგან კიდევ ორი კაცი გარდაიცვალა. სამშაბათს კანადის ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ა ტიპური პნევმონიით დაღუპულთა რიცხვმა ქვეყანაში უკვე ექვსს მიაღწია.**

**პენტაგონში** გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას რამსფელდმა ბრალად დასდო ერაყელ მოხელეებს ჭორების გავრცელება იმის თაობაზე, რომ ანტიერაყული კოალიცია შეუდგა მოლაპარაკებას სადამის მთავრობასთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მოკავშირენი მოლაპარაკებას გამართავენ მხოლოდ სრული კაპიტულაციის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა რამსფელდმა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**
**არჩილ მანჯგალაძემ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

# განცხადებები ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, 380062, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 22-04-18, 23-54-29; აცხადებს ღია ტენდერს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად საჭირო მოქმედი საწყისის მქონე პესტიციდების შესაძენად:**

| | |
|---|---|
| **1. დელტამეტრინი** | **8 000 ლიტრი;** |
| **2. პროპარგიტი** | **3 160 ლიტრი;** |
| **3. დიმეთოატი** | **1943 ლიტრი;** |
| **4. თუთიის ფოსფიდი** | **2 000 კგ.** |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, DDP პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მცენარეთა დაცვის სამსახური, ჭავჭავაძის გამზ. № 82.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი. ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 82, მცენარეთა დაცვის სამსახური, 2003 წლის 18 აპრილის 10 სთ-დან 21 აპრილის 17 სთ-მდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

● ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

**ფიზიკური პირებისათვის:**

● ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

● ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ამა წლის 24 აპრილიდან 29 აპრილის 17 საათამდე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ამა წლის 7 მაისს 14 საათზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შესაძლებელია შეიცავდეს, როგორც შესყიდვის ყველა ობიექტს, ასევე ცალკეულ შესყიდვის ობიექტს. შეფასება მოხდება შესყიდვის ობიექტების მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82, ტელ: 22-04-18; 23-54-29, ზიორზი პეტრიაშვილი.**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, 380062, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 22-04-18, 23-54-29; აცხადებს ღია ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების და შემასხურებლის შესაძენად:**

| | |
|---|---|
| I ლოტი | |
| **1. პიკაპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომობილი** | **2 ერთეული;** |
| **2. მაღალი გამავლობის ავტომობილი** | **9 ერთეული;** |
| **3. პიკაპის ტიპის ავტომობილი** | **5 ერთეული** |
| II ლოტი | |
| **უნივერსალური, ძრავიანი, ულტრამცირემოცულობიანი შემასხურებელი** | **1 ერთეული** |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, DDP პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მცენარეთა დაცვის სამსახური, ჭავჭავაძის გამზ. № 82.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 82, მცენარეთა დაცვის სამსახური, 2003 წლის 18 აპრილის 10 სთ-დან 21 აპრილის 17 სთ-მდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

● ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

**ფიზიკური პირებისათვის:**

● ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

● ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ამა წლის 24 აპრილიდან 29 აპრილის 17 საათამდე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ამა წლის 7 მაისს 14 საათზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შესაძლებელია შეიცავდეს, როგორც შესყიდვის ყველა ობიექტს, ასევე ცალკეულ შესყიდვის ობიექტს. შეფასება მოხდება შესყიდვის ობიექტების მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82, ტელ: 22-04-18; 23-54-29, ზიორზი პეტრიაშვილი.**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, 380062, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 22-04-18, 23-54-29; აცხადებს ღია ტენდერს შემდეგი მომსახურების შესყიდვაზე:**

**სატრაქტორო შესხურება 10 000 ჰა**

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული სამუშაო უნდა განხორციელდეს 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული სამუშაოს მოცულობისა და შესრულების გრაფიკის შესაბამისად, მავნებლის გავრცელების რაიონებში.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 82, მცენარეთა დაცვის სამსახური, 2003 წლის 18 აპრილის 10 სთ-დან 21 აპრილის 17 სთ-მდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

● ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

**ფიზიკური პირებისათვის:**

● ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

● ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ამა წლის 24 აპრილიდან 29 აპრილის 17 საათამდე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ამა წლის 7 მაისს 14 საათზე.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82, ტელ: 22-04-18; 23-54-29, ზიორზი პეტრიაშვილი.**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ.თბილისი, 380062, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 22-04-18, 23-54-29; აცხადებს ღია ტენდერს საოფისე ავეჯის შესაძენად:**

| | |
|---|---|
| **1. მაგიდა** | **40 ერთეული;** |
| **2. კარადა** | **20 ერთეული;** |
| **3. სკამი** | **150 ერთეული;** |
| **4. ცეცხლგამძლე კარადა** | **15 ერთეული;** |
| **5. კონდიციონერი** | **5 ერთეული** |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, DDP პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მცენარეთა დაცვის სამსახური, ჭავჭავაძის გამზ. № 82.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 82, მცენარეთა დაცვის სამსახური, 2003 წლის 18 აპრილის 10 სთ-დან 21 აპრილის 17 სთ-მდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

● ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

**ფიზიკური პირებისათვის:**

● ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

● ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ამა წლის 24 აპრილიდან 29 აპრილის 17 საათამდე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ამა წლის 7 მაისს 14 საათზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შესაძლებელია შეიცავდეს, როგორც შესყიდვის ყველა ობიექტს, ასევე ცალკეულ შესყიდვის ობიექტს. შეფასება მოხდება შესყიდვის ობიექტების მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82, ტელ: 22-04-18; 23-54-29, ზიორზი პეტრიაშვილი.**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ.თბილისი, 380062, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 22-04-18, 23-54-29; აცხადებს ღია ტენდერს საფუმიგაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ფუმიგანტის შესაძენად:**

**ფუმიგანტი 5 000 კგ**

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, DDP პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მცენარეთა დაცვის სამსახური, ჭავჭავაძის გამზ. № 82.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 82, მცენარეთა დაცვის სამსახური, 2003 წლის 18 აპრილის 10 სთ-დან 21 აპრილის 17 სთ-მდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

● ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

● ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

**ფიზიკური პირებისათვის:**

● ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

● ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ამა წლის 24 აპრილიდან 29 აპრილის 17 საათამდე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ამა წლის 7 მაისს 14 საათზე.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82, ტელ: 22-04-18; 23-54-29, ზიორზი პეტრიაშვილი.**

---

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს გლდანის ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის საერთო ფართია 6 ჰა. შესასრულებელი სამუშაოებია: ზედაპირის გადასწორება-გაუვნებლობა, დერატიზაცია-დეზინფექცია, ზედაპირის პერიოდულად დაწყლულება, მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა-მოწესრიგება.**

**2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2003 წლის 31 დეკემბერი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2003 წლის 18 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას პირ. შესახვევი № 33, მე-5 სართული, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.**

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

**ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;**

**ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;**

**გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.**

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

**ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;**

**ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;**

**გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;**

**5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.**

**6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2003 წლის 24 აპრილის 12 საათიდან 25 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას პირ. შესახვევი № 33, მე-5 სართული, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.**

**7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გივი რუხაძე — კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, საკონტაქტო ტელეფონი 996605 და თემურ საქუაშვილი — კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექგანყოფილების უფროსი, საკონტაქტო ტელეფონი 995420, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას პირ. შესახვევი № 33, მე-5 სართული, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.**

---

## შეტყობინება

**სააქციო საზოგადოება „საწარმოო გაერთიანება მაუდის" (მის: ქ. თბილისი აკ. წერეთლის № 140, ტელ: 34-89-46) საერთო კრების ჩატარებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2003 წლის 15 აპრილი.**

**კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:**

**— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2003 წლის 15 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარი პირადობის მოწმობას.**

**აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „საწარმოო გაერთიანება მაუდის" რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრთან" შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, ტელ: 22-53-51.**

**სს „საწარმოო გაერთიანება მაუდის" დირექცია.**

---

## განცხადება

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა სთხოვს ევა ქლენტისა და ივანე ქლენტის მემკვიდრეებს, რომელთა სახლი მდებარეობს ქ. თბილისში, პ. საакაძის ქ. № 20-ში, გამოცხადდნენ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში.**

**გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სახლი ჩაირიცხოს სახელმწიფოს ფონდში.**

---

## დაზუსტება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 29 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სატენდერო განცხადების მე-3 პუნქტში მიწოდების სავალდებულო ვადაა 05052003-05052004 ნაცვლად მითითებული 05052003-05052003.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ქართული სული

# შეუკვეთავი კონცერტი

 იმ საღამოს მარტვილელი გვილავების ოჯახში „ძალად სტუმარი“ ვიყავი. ადრეც, როცა კაცის არც მიღება ჭირდა და არც გამასპინძლება, მაინც სასტუმროს ვამჯობინებდი ხოლმე. ახლა არჩევანის საშუალება არა მქონდა — ოთხმოცდაათიან წლებში გადაბუგულ-გადამწვარის აღდგენა კი დაუწყიათ, მაგრამ მწყობრში ჩადგომამდე ბარე ცხრა პარასკევია. ყოველ შემთხვევაში, უჭერო და უკარფანჯრო შენობაში მოყვარე კი არა, მტერიც არ შემიშვებდა...

„ვვაჭრობდით“ მე და ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იოსებ გობეჩია — სენაკში მეპატიჟებოდა. იმ დილით ქუთაისიდან მარტვილამდე გამოვლილი გზა რომ გამახსენდა, ტანში გამბურძგლა: ასეთ ოღროჩოღრო გზაზე ოცდაათი კილომეტრის წაღმა-უკუღმა გავლა ვერაფერი სიამოვნება იყო.

გამოჩნდა უცებ ახოვანი, ბეჭებში საქორწინო სეფასავით გაშლილი ვაჟკაცი. ბადრი გვილავა ვარ, წამობრძანდით და ჩემთან მოისვენეთო.

უნდა გამოვტყდე, რომ სხვებიც მეპატიჟებოდნენ, ოღონდ მავანთა და მავანთა მხრიდან „კუდის გამობმას“ მოვერიდე. ბადრი გვილავა კი ყოველნაირად „გამართული“ კაცი იყო: იმ საქმესთან, რაზეც მარტვილში ჩავედი, არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

და როგორც ერთ ლექსში ჩემი გვარის დიდი კაცი ბრძანებს, „გულის კუნჭულში დათბა“.

არ ვიცი, ოდესმე თქვენც ყოფილხართ თუ არა „ძალად სტუმრის“ როლში, მე კი იმ საღამოს გამჩენს ათასი მადლობა შევწირე. და არა მარტო სახელდახელო, მაგრამ მაინც უხვი და მშვენიერი სუფრისათვის, არამედ ოჯახური სითბოსა და გულისხმიერების გამო, რითაც ჩვენი დალოცვილი ხალხი ყველასაგან გამოირჩევა. თავს დაგვტრიალებდა შუბლგახსნილი დიასახლისი ნანა გვილავა და ბოდიშობდა, თქვენი მობრძანება წინასწარ რომ მცოდნოდა, უკეთესად დაგვხდებითო. არადა, კიდევ რას ჰქვია უკეთესად დახვედრა, როცა გვილავების ფერია ქალიშვილები ნინო და ანაც წკიპზე იდგნენ, რათა თავი მართლა უცხოდ არ მეგრძნო!

არც ყანწების ტრიალი ყოფილა და არც უსაშველო „მიირთვით, ჩემო ბატონო“. იყო საოცარი სითბო და აწონილი სიტყვა ყოველდღიურ პრობლემებზე, არა უსაგნო წუწუნი, არამედ იმედიანი სჯა-ბაასი.

ბადრი გვილავა 1993 წლიდან მარტვილის რაიონის კულტურის განყოფილების გამგეა. ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგია მისი მეუღლე ნანა. უფროსი ქალიშვილი ნინო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახლავთ, უმცროსი, ანა კი ჯერ კიდევ სკოლის მერხს უზის. ბადრისაც მუსიკალური განათლება აქვს. სანამ ამ თანამდებობაზე გადმოიყვანდნენ, დიდი ჭყონში სამუსიკო სკოლას განაგებდა.

ამ ინფორმაციის მიუხედავად, მაინც მემოულოდნელა, როცა მასპინძელმა შვილებს მიმართა, სტუმარს ხომ არ ვუმღეროთო. პასუხს არ დაელოდა და სიმღერა წამოიწყო.



ჯერ ნინო აჰყვა, მერე მათ ანაც შეეშველა.

მომასმენინეს ჰიმნივით ამაღლებული „2001“, ოდნავ უფრო ლირიკული „მარტვილი“. ორივე სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორი ბატონი ბადრი ბრძანებულა!

მუსიკის მცოდნე არ გახლავართ, მაგრამ კარგი სიმღერის ფასი კი ნაღდად ვიცი. გარეთ კიდეც ციოდა, წვიმანარევი თოვლიც მოდიოდა, ქამი-ქამს სუსხიანი ქარიც უბერავდა, გვილავების ოჯახში კი სასიამოვნოდ თბილოდა. სითბო კიდევ უფრო საგრძნობი გახდა, როცა მთელი ოჯახი ამღერდა — ქმარ-შვილს ქალბატონი ნანაც შეუერთდა. ვინანე, რომ ფოტოაპარატი არ მქონდა, არადა, შესაფერისი სურათი ოჯახში არ აღმოაჩნდათ. მერე, რა გრძნობით მღეროდნენ სევდიან მეგრულ სიმღერებს! „ჩუმად, ვილაც მღერის მთაზე, რა გრძნობაა ამ ტკბილ ხმაში, არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...“ ამათზე თუ თქვა გალაკტიონმა.

ჩემს შექებაზე ყველას გაეღიმა.

— ერთ დროს უმუშევარი დავრჩი, — ბრძანა ბადრი გვილავამ — მერე ფოლკლორის ანსამბლი ჩამოვაყალიბე. ზოგს უკვირდა, რა ემღერებათო. ვერც გაამტყუნებდით — ქუჩაში ავტომატიანები ბატონობდნენ. სიმღერის ხმას რომ გაიგონებდნენ, შემოლაგდებოდნენ, იარაღს კედელზე მიაყუდებდნენ და სულგანაბულნი გვისმენდნენ. ზოგიერთი აგვყვებოდა კიდეც. იმ სიმღერებმა გადაგვარჩინა, სიმღერა იყო ჩვენი პურიც და ჰაერიც, იმედიც, ფარიც და მახვილიც...

მერე ვისაუბრეთ ანსამბლ „ჭყონდიდზე“, რომელიც მრავალი საერთაშორისო ფესტივალის (უნგრეთი, იტალია...) მონაწილე და ლაურეატია. შარშან თურქეთშიც ყოფილან, იქაური ქართველების აღტაცება დაუმსახურებიათ. მერე უკრაინაში, როვნოს სწვევიან, როვნოს რომელიც, აგერ, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ოზურგეთთან მეგობრობს. ამ უანგარო, მართლაც სამაგალითო ურთიერთობის კეთილად გაგრძელებაში „ჭყონდიდსაც“ თავისი წვლილი შეუტანია.

— ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის შექმნასაც ვაპირებთ. აპრილში ჩვენი მოცეკვავეები იზმირს ეწვევიან. გეგმები დიდი გვაქვს. მართალია, რაიონის ბიუჯეტი მდიდარი არ არის, მაგრამ ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად მაინც გვეხმარება. სიმართლეს ბრძანებს ქვეყნის პრეზიდენტი — თუ გადარჩენა გვიწერია, რაშიც ეჭვი არ მეპარება, ისევ ხელოვნება გადაგვარჩენს, ოღონდ ხელოვნებას ჯერ ჩვენ უნდა ვუერთგულოთ.

ქართველი კაცი ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამსაც მღეროდა. ხელოვნების სიყვარული მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა გვილავების შესანიშნავმა ოჯახმა, რომელმაც მე, „ძალად სტუმარს“, მართლა მშვენიერი იმპროვიზებული კონცერტი მაჩუქა...

**ელგუჯა ლებანიძე.**
**მარტვილი.**

**სურათზე:** მღერის ბადრი გვილავა.

---

# საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

# განკარგულება

2003 წლის 28 მარტი № 256

თბილისი

## სს კბ „მერკურში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად, სს კბ „მერკურის“ მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობისა და დარღვევების გამო:

1. სს კბ „მერკურის“ ადმინისტრაციული მართვა 2003 წლის 31 მარტიდან გადაეცეს დროებით ადმინისტრაციას.

2. სს კბ „მერკურის“ დროებით ადმინისტრატორად დაინიშნოს საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ბანკების ინსპექტირების განყოფილების წამყვანი ეკონომისტი ზ. ბიწკინაშვილი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

3. დადგინდეს, რომ დროებითი ადმინისტრაციის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) სს კბ „მერკურის“ საერთო და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მის შედეგებზე დასკვნის მომზადება;

ბ) სს კბ „მერკურის“ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის აუცილებელი ზომების გატარება.

4. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მომენტიდან:

ა) შეჩერდეს სს კბ „მერკურის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის) უფლებამოსილება;

ბ) სს კბ „მერკურის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის) სრული უფლებამოსილება გადაეცეს დროებით ადმინისტრაციას.

5. სს კბ „მერკურში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან დაუშვებელია ნებისმიერი მოქმედება სს კბ „მერკურის“ სახელით და მის ხარჯზე დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე.

6. დაევალოს დროებით ადმინისტრაციას:

ა) უმოკლეს ვადაში განსაზღვროს დროებითი ადმინისტრაციის განხორციელების პირობები სს კბ „მერკურის“ ფილიალებისა და შვილობილი საწარმოებისათვის;

ბ) განსაზღვროს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სს კბ „მერკურის“ იმ თანამშრომელთა სია, რომლებისთვისაც მიზანშეწონილია უფლებამოსილების მინიჭება დროებითი ადმინისტრაციის ნორმალური მუშაობისა და მიზნების მისაღწევად;

გ) წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს წინადადებები სს კბ „მერკურში“ ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი სახსრების ბლოკირებასთან დაკავშირებით.

7. დაევალოთ სს კბ „მერკურის“ მართვის ორგანოებს დროებითი ადმინისტრაციისათვის ყველა ბეჭდის, ბუღალტრული და სხვა დოკუმენტების გადაცემა დროებითი ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

8. დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2003 წლის 1 მაისამდე.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ (ზ. გაჩეჩილაძემ) უზრუნველყოს სს კბ „მერკურში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

10. ამ ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს.

11. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ექვსი თვის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, რობაქიძის ქ. № 6ა.

**ი. ვახტანგიშვილი.**

---

ფეხბურთი



# წინაპართა ნაკვალევზე

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა (ოლიმპიურმა) ნაკრებმა კონტინენტის თანატოლთა ჩემპიონატისა და ათენის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შვეიცარიელებთან 0:2 წააგო, მაგრამ რევაზ არველაძის გუნდისთვის არც დანა უსვრია ტრიბუნიდან ვინმეს და არც შუშისა თუ პლასტმასის ბოთლები — ბიჭებმა თავიდან ბოლომდე მთელი შემართებით იბრძოლეს და თუ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ ობიექტურად უფრო ძლიერ მეტოქესთან, ამაში დამნაშავე, უპირველესად, ბერნარ შალანდეს შეგირდთა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, სათამაშო დისციპლინა და შედარებით უკეთესი ტაქტიკური განსწავლულობა გახლავთ. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ ნეიტრალური ქვეყნის ჭაბუკთა უკანასკნელი მიღწევები — ისინი 17-წლიანთა შორის ევროპის ჩემპიონები, 19-წლიანთა შორის კი — III პრიზიორები არიან.

**საქართველო:** მამალაძე, ორბელაძე, ციმაკურიძე, სალუქვაძე, კანდელაკი, ბურნაძე, მანწკავა, სირაძე, ახალაია, ასათიანი (კაპიტანი), ბობოხიძე.

ითამაშეს, აგრეთვე მოდებაძემ, გამეზარდაშვილმა და კოშკაძემ.

**შვეიცარია:** ვიოლფლი, ნეფი, როქატი, შვეგლერი, ეგიმანი (კაპიტანი), დარბელანი, ბა, გიგაქსი, მუფი, ბაუმანი, შტრელერი.

ითამაშეს, აგრეთვე ლიჩშტეინერმა, შალამ და ვონლანტენმა.

**მსაჯი:** იარომირ პლავაკი (ჩეხეთი).

**გოლები:** მუფი (33-ე წთ) და ნეფი (41-ე წთ).

შესავალში გამოთქმული დადებითი შეფასების შემდეგ, ალბათ, გაგაკვირვებთ ამ წერილის სათაური. საკითხში სიცხადის შესატანად ახლავე განვიმარტავთ, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების ამასწინანდელი ავადმოსაგონარი ირლანდიური საგას მსგავსად, რანგით უმცროსებმა, სტუმართა კარს ხიფათი პირველად 30-ე წუთზე შეუქმნეს, როცა პარტნიორთა გაჭიანურებულ იერიშს ახლო მანძილიდან თაური დარტყმით მინდორზე ახალშესული მოდებაძე აგვირგვინებდა, თუმცა ამ ეპიზოდში „უკრაინელ“ ქართველს სიზუსტემ უმტყუნა. კიდევ ერთი პარალელი უფროსებთან — დანარჩენი რგოლებისგან განსხვავებით, სუსტად გამოიყურებოდა მასპინძელთა უკანა ხაზი, განსაკუთრებით მარცხენა მცველი კანდელაკი. და მაინც, უარყოფითი შედეგის მიუხედავად, „შინდისფერთა“ უახლოესმა ცვლამ არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა (ისევე როგორც ირლანდიელებთან), რაც, უმთავრესად, ასათიანისა და სირაძის დამსახურებაა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს, კოშკაძესა და ბობოხიძეს პრესტიჟის გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მეკარე ვიოლფლის ვერაფერი მოუხერხეს, ერთ მომენტში კი შვეიცარიელთა კაპიტანმა ეგიმანმა ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა.

**გია პლატონიშვილი.**
ჯემალ კასრაძის ფოტო.

---

ოლიმპიზმი

## ჯანმრთელობის დასაცავად

**2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ როგორც სპორტსმენების, ისე ოლიმპიადაზე ჩამოსული ოფიციალური პირების თუ მაყურებლების ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებს, კერძოდ კი, საბერძნეთის დედაქალაქის საავადმყოფოების და „სასწრაფო დახმარების“ სამსახურის სათანადოდ მომზადებას.**

შერჩეულია 18 სამკურნალო დაწესებულება, რომლებიც მიიღებენ ოლიმპიური საავადმყოფოების სტატუსს. ასეთივე სტატუსი მიენიჭება სალონიკის სამ და სხვა ოლიმპიური ქალაქების თითო საავადმყოფოს.

ოლიპიადის დღეებში სამედიცინო მომსახურება უფასო იქნება როგორც სპორტსმენებისათვის, ისე ოფიციალური პირებისათვის, მომსახურე პერსონალისა და ბილეთების მფლობელთათვის. აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის.

მთავრობა აპირებს იმ დროისათვის 270 სასწრაფო დახმარების ახალი მანქანისა და 25 მობილური სამედიცინო ცენტრის შეძენას ოლიმპიური ობიექტებისათვის.

---

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# დიდი ღიპი და ღაჟღაჟა ლოყები სულაც არ ნიშნავს, რომ ჯანმრთელი ხარ და დიდხანს იცოცხლებ!

**1976 წლის შემოდგომაზე, ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვან შეხვედრაზე, ძალიან პატივსაცემმა პიროვნებამ დანანებით მითხრა: „ქართველები ლამაზი ხალხი ვართ, მაგრამ ძალიან გვამახინჯებს ჩვენი ადამიანების, განსაკუთრებით მამაკაცების უზომო მუცლები. ამ სიმახინჯეს უნდა ვებრძოლოთ“.**

მას შემდეგ 25 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მდგომარეობა არ შეცვლილა. ხედავ წარმოსადეგ მამაკაცს, მაგრამ რად გინდა, წინ იმხელა ღიპი „მიუძღვის“, მტრისას!

თუმცა, მოხდა ერთგვარი დიფერენციაცია. უწინ ასეთ უზარმაზარ სტომაქებს უფრო ხშირად ვაჭრობის სფეროს მუშაკები „ფლობდნენ“, ახლა — ბიზნესმენები, ბანკირები, სამინისტროთა აპარატების პასუხისმგებელი პირები და, თქვენ წარმოიდგინეთ, პარლამენტის წევრებიც...

მათ, ალბათ, არ იციან, რომ დიდი ღიპი და ღაჟღაჟა ლოყები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯანმრთელია და დიდხანს იცოცხლებს. მათ და ბევრმა ჩვეულებრივმა მოკვდავმა ვერ გაითავისეს, რომ კვება და ცხოვრების ჯანსაღი წესი მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

დადგენილია, რომ ვინც დროს და ენერგიას ხარჯავს ფიზიკური ვარჯიშისა და სპორტისთვის, უფრო ნელა ბერდება მასთან შედარებით, ვინც ნაკლებად მოძრაობს, ან სულაც სავარძელსა და კაბინეტშია მიჯაჭვულ-ჩაკეტილი.

არის კიდევ ერთი ნიუანსი: ტრადიციულად, ქართველები პურ-ფუნთუშეულს (პურის ნაწარმს), ხორცეულს და კარტოფილს მეტს მივირთმევთ, ვიდრე თევზეულს, ხილს, ბოსტნეულს. ასეთი ჩვენი მიდრეკილება და ფიზიკური ვარჯიშისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება განაპირობებს ზედმეტ წონას, რასაც ხშირად მძიმე შედეგები მოაქვს. სიმსუქნე განაპირობებს ნერვული სისტემის, ტვინის დაზიანებას, რასაც მოჰყვება გამძლეობის, ძალის დაქვეითება, ჰიპოდინამიის განვითარება.

ადამიანი, ვისი წონა ხუთი პროცენტით აჭარბებს ნორმალურს, უკვე მსუქნად ითვლება. ასეთებს ხშირად უვითარდებათ გულის იშემიური დაავადება (სტენოკარდია), ჰიპერტონული ავადმყოფობა, ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციათა დარღვევა და სხვ.

ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ყოველთვის ვაკონტროლოთ ჩვენი წონა. არსებობს ნორმალური წონის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის — წონისა და სიმაღლის შეფარდების მაჩვენებლით. საშუალოდ სიმაღლის 1 სმ შეესატყვისება წონის 400 გრამს. თუ გადაამრავლებთ ამ ციფრებს თქვენი სიმაღლის მაჩვენებელზე, მიიღებთ საშუალო წონას. 500 და მეტი მაჩვენებელი მიუთითებს სიმსუქნეზე, 300 და ნაკლები — არასაკმარის კვებაზე.

თუ შეამჩნევთ, რომ საჭიროა წონის დაკლება, შეეცადეთ ეს შეძლოთ თანდათან და არა მყისიერად დიეტაზე გადასვლით.

გთავაზობთ ცხრილს ტანის მასის ნორმებზე მამაკაცთა და ქალთათვის, მათი ასაკის შესაბამისად. თუ თქვენ ჰიპერსტენური კონსტრუქციისა ხართ (ტანდაბალი, მკვრივი ტანადობის), შეგიძლიათ მიღებულ ციფრს მიუმატოთ 5, თუ ასტენურისა (მაღალი და ხმელხმელი), გამოაკელით 5.

* * *

**შეეცადეთ, რომ თქვენი სიმაღლე შეესაბამებოდეს თქვენს წონას. ჩადექით ფორმაში და შეამჩნევთ, რომ უფრო ხალისიანი, მოქნილი და ძლიერი ადამიანი ხარ. მაშინ ასრულდება ბევრი მამულიშვილის ოცნება, რომ ქართველები მართლაც ლამაზი ხალხია, პირსახითაც და ტან-ფეხითაც.**

**ანზორ ბასილაია.**

### ტანის დასაშვები მასა სიმაღლისა და ასაკის მიხედვით

| სიმაღლე სმ | ასაკი 20-29 | | 30-39 | | 40-49 | | 50-59 | | 60 და ზევით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მამ. | ქალ. | მამ. | ქალ. | მამ. | ქალ. | მამ. | ქალ. | მამ. | ქალ. |
| 150 | 51.3 | 48.8 | 56.7 | 53.9 | 58.1 | 56.5 | 58.0 | 56.7 | 57.3 | 54.8 |
| 152 | 53.1 | 51.0 | 58.7 | 55.3 | 61.5 | 59.5 | 61.1 | 57.8 | 60.5 | 55.9 |
| 154 | 55.3 | 53.0 | 61.6 | 58.1 | 64.5 | 62.4 | 63.8 | 60.2 | 61.9 | 59.0 |
| 156 | 58.5 | 55.8 | 64.4 | 61.5 | 67.3 | 66.0 | 65.8 | 63.4 | 63.4 | 62.7 |
| 158 | 61.2 | 58.1 | 67.3 | 64.1 | 70.4 | 67.9 | 68.0 | 67.6 | 67.6 | 64.8 |
| 160 | 62.9 | 59.8 | 69.2 | 65.8 | 72.3 | 69.8 | 69.7 | 69.1 | 68.7 | 66.3 |
| 162 | 64.6 | 61.6 | 71.0 | 68.5 | 74.7 | 72.0 | 72.7 | 70.3 | 69.8 | 67.9 |
| 164 | 67.3 | 63.6 | 73.9 | 70.8 | 77.4 | 73.9 | 74.8 | 72.0 | 72.4 | 68.9 |
| 166 | 68.8 | 65.2 | 74.5 | 71.8 | 78.0 | 74.8 | 76.5 | 75.0 | 74.0 | 70.0 |
| 168 | 70.8 | 68.5 | 76.2 | 73.7 | 79.6 | 76.8 | 78.2 | 76.8 | 76.9 | 72.7 |
| 170 | 72.7 | 69.2 | 77.7 | 75.8 | 81.0 | 77.0 | 79.8 | 78.0 | 79.0 | 74.8 |
| 172 | 74.1 | 72.8 | 79.3 | 77.0 | 82.8 | 78.5 | 81.7 | 80.0 | 81.1 | 76.0 |
| 174 | 77.5 | 74.3 | 80.8 | 79.0 | 84.1 | 80.0 | 83.7 | 80.4 | 81.8 | 77.8 |
| 176 | 80.8 | 76.8 | 83.3 | 79.9 | 86.5 | 82.4 | 84.6 | 82.0 | 83.0 | 79.0 |
| 178 | 83.0 | 77.7 | 85.5 | 82.4 | 88.0 | 84.1 | 86.0 | 83.6 | 84.0 | 80.0 |
| 180 | 85.0 | 80.9 | 88.0 | 84.1 | 89.9 | 85.0 | 88.0 | 85.0 | 86.0 | 82.0 |
| 182 | 87.2 | 83.3 | 89.5 | 85.8 | 91.4 | 87.7 | 89.5 | 86.5 | 87.8 | 84.0 |
| 184 | 89.1 | 85.5 | 91.6 | 87.0 | 92.5 | 89.0 | 91.1 | 88.0 | 89.0 | 86.0 |
| 186 | 93.1 | 89.2 | 92.3 | 89.0 | 94.0 | 90.9 | 92.8 | 89.5 | 91.3 | 88.0 |
| 188 | 95.8 | 91.0 | 94.4 | 91.5 | 95.0 | 92.0 | 95.1 | 91.0 | 93.0 | 89.5 |
| 190 | 97.1 | 92.3 | 96.5 | 95.6 | 100.7 | 97.6 | 96.4 | 93.0 | 95.0 | 91.0 |

---

წინაპარი

## ხელოვანი — სპორტსმენი

**პირველი ქართველი გრავიორი, წიგნების საუცხოო ილუსტრატორი გრიგოლ ტატიშვილი, ახალგაზრდობისას შესანიშნავი სპორტსმენიც გახლდათ. ყმაწვილმა გიგამ ცირკში ნახა გასტროლიორ აკრობატთა დასი.** იგი დაუახლოვდა ამ ჯგუფის წევრებს, დაიწყო მათთან ერთად ვარჯიში და მალე ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ აკრობატთა დასის ხელმძღვანელმა იგი მაყურებლის წინაშე გამოიყვანა. ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ გიგა უკვე სისტემატურად გამოდიოდა ცირკის არენაზე, მაგრამ საბედისწერო შემთხვევამ (იმ ღერძიდან ჩამოვარდა, იატაკს მხარი დაჰკრა და ლავიწის ძვალი გაიტეხა) ჩამოაშორა იგი სპორტს, სადაც მას დიდ მომავალს უქადდნენ.



გრიგოლ ტატიშვილს ძალზე კარგი მონაცემები ჰქონდა კრივისთვისაც. ამაზე მეტყველებს ასეთი ფაქტი: ერთხელ მას სამხედრო კომენდანტმა ჩხუბი აუტეხა, რასაც მოაყოლა უწმაწური სიტყვები. წმინდა ქართულ ტრადიციებზე აღზრდილმა გიგამ ეს ვეღარ აიტანა და ისეთი ალიყური გასცხო კომენდანტს, რომ იგი მიწაზე გაშხლართა.

ასეთი ცნობები მოიპოვება XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ამ შესანიშნავი ხელოვანის შესახებ ხელოვნებათმცოდნე მურმან ურუშაძის მიერ დაწერილ წიგნსა და საარქივო მასალებში.

**ედიშერ გიორგაძე.**

---

ყოველი მხრიდან

### სპონსორების კარნახით

**ფეხბურთის მატჩის დროს, ალბათ, ყველას გვინახავს, გოლს რომ გაიტანს, გახარებული ფეხბურთელი როგორ იხდის მაისურს და ამით გამოხატავს თავის აღტაცებას.**

კოლუმბიელ ფეხბურთელებს მოუწევთ ასეთ შემთხვევაში უფრო თავშეკავებული იყვნენ. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გამოსცა განკარგულება, რომელიც ფეხბურთელს უკრძალავს ემოციების გამოსახატავად მატჩის დროს მაისურის გახდას. ასეთი აკრძალვის დამრღვევთ დაუყოვნებლივ გააძევებენ მინდვრიდან და 350 დოლარით დააჯარიმებენ.

ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი მკაცრი სანქცია გატარდა სპონსორთა მოთხოვნით. თურმე, როცა აღფრთოვანებული ფეხბურთელი მაისურს იხდის, მაყურებლებსა და სპონსორებს იმ მომენტში არა აქვთ მაისურებზე გამოსახული რეკლამის ხილვის საშუალება.

### ვარსკვლავები მოსკოვში არ ჩავიდნენ

**გუშინ მოსკოვში უნდა ჩასულიყვნენ მძლეოსნობის მსოფლიო ვარსკვლავები — სპრინტერები მერიონ ჯონსი და ტიმ მონტჰომერი. ცნობილ ამერიკელ მორბენლებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ 20 სექტემბრისათვის ლუჟნიკებში დანიშნული საერთაშორისო მძლეოსნური სუპერტურნირისადმი Moscow Challenge მიძღვნილ პრეზენტაციაში. სუპერტურნირის საპრიზო ფონდი 2,4 მილიონი დოლარი იქნება.**

გამოჩენილი მორბენლების ვიზიტი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, რადგან მათ შეასრულეს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო მითითება — თავი შეიკავონ საზღვარგარეთ მოგზაურობისგან ერაყში საომარი მოქმედებების გამო.

მოსკოვის სუპერტურნირის ორგანიზატორები ახლა მძლეოსნობის ვარსკვლავებს ეძებენ ევროპაში, რათა მოიწვიონ ამ დიდი სპორტული ღონისძიების პრეზენტაციაში მონაწილეობის მისაღებად.

### პრეზიდენტმა დააჯილდოვა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა შვეიცარიული აფრებიანი იახტის Alingi მფლობელი ერნესტო ბერტარელი საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა. 37 წლის იტალიელ ბიზნესმენს, რომლის ხომალდის გუნდმა „ამერიკის“ თასის გათამაშების 152-წლიან ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპელთაგან ეს ძვირფასი პრიზი, საფრანგეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო მიენიჭა.**

შირაკმა მას ორდენი დახურულ ცერემონიაზე გადასცა ელისეს სასახლეში. შეგახსენებთ, რომ მარტის დასაწყისში Alinghi-მ თასის ფინალში გამანადგურებული ანგარიშით 5:0 დაჯაბნა თასის ადრინდელი მფლობელი — ახალზელანდიური სინდიკატი Team New Zcaland.



### აბა, დაეწიეთ!

**ეს მარათონული რბოლა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ბრედ ჰაუტერმა დაიწყო უჩვეულო მანქანით — გაზონსათიბით. სტარტი სან-ფრანცისკოში აიღეს ფინალი კი ნიუ-იორკში იქნება. მთელი ამ ეპოპეისათვის 80 დღეა განსაზღვრული (გაიხსენეთ ჟიულ ვერნი).**

დიდი რბოლის დაწყებისთანავე მოხდა კურიოზი — ბრენდი წინ, აღმოსავლეთისაკენ კი არა, ფინიშის საწინააღმდეგო მხარეს წავიდა. ფალ-სტარტში „მრბოლმა“ თანმხლებთა ჯგუფი დაადანაშაულა — მიმართულება სწორედ არ განმისაზღვრესო. კომპასი მაინც ეყიდათ!

### ჩეჩნეთში სპორტის აღორძინებისათვის

**რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა შეთანხმება გააფორმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციასთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში. როგორც რუსეთის ОК-ის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა განაცხადა, მისი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს ჩეჩნეთში სპორტული მოძრაობის აღორძინებისათვის. ამჟამად მთავარი ამოცანაა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სპორტული ნაგებობების აღდგენა და მშენებლობა.**

შეთანხმებაზე ხელის მოწერის წინ ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურმა ახმად კადიროვმა თქვა, რომ ზოგიერთი ჩეჩენი სპორტსმენი, ახლა სხვა რეგიონების სახელით რომ ასპარეზობს, გამოთქვამს სამშობლოში დაბრუნებისა და იქ სპორტის რეაბილიტაციაში მონაწილეობის სურვილს. ამჟამად რუსეთის სხვადასხვა ნაკრებში 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადება ჩეჩნეთის ექვსი წარმომადგენელი.

---

## ცინცხალი ამბები



**იტალიის „მილანის“ ვეტერანებმა პაოლო მალდინიმ და მასიმო ამბროზინიმ მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელფასი 20 პროცენტით დაუკლეს, მაინც მოაწერეს ხელი გუნდთან კონტრაქტს 2005 წლამდე.**

**მალდინი „მილანში“ 1985 წლიდან თამაშობს და ამ ხნის მანძილზე, მან მოხსნა ევროტურნირებში ჩატარებული მატჩების მიხედვით გუნდის ყოფილი და დღევანდელი წევრების რეკორდი. იტალიის პირველობაზე ითამაშა 501 მატჩში, ხოლო ჩემპიონობა მოიპოვა ექვსჯერ.**

**მასიმო ამბროზინიც, რომელიც „მილანში“ „ჩეზენადან“ 1995 წელს გადმოვიდა, იგივე პირობებით რჩება კლუბში.**

* * *

**მოციგურავეთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები, — რუსები ირინა ლობაჩევა და ილია ავერბუხი ორ თვეში კომენტატორებად დაიწყებენ მუშაობას ტელეარხ „7-ТВ“-ში.**

**ტელეკომპანიის დირექტორის ოლეგ აქსენოვის თქმით, ისინი წაიყვანენ ათენის მომავალი 2004 წლის ოლიმპიადისადმი მიძღვნილ სპეციალურ პროგრამას.**

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომში

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარიამ ბესარიონის ასული მიქელაძე-გაბეჩავა უფროს ვაჟიშვილთან ელგუჯა გაბეჩავასთან ერთად. 1940 წელი.

მოგვაწოდა ავთანდილ ბენდუქიძემ.

## ღიმილის დოზა



ორი ავტომანქანა შეეჯახა ერთმანეთს. პირველი მანქანიდან ყვირილით გამოვარდა კაცი და მეორე მანქანის პატრონს ჩხუბი დაუწყო:

— შეხედეთ, რა გააკეთეთ! — თქვენ ჩამიმტვრიეთ კბილების პროთეზი.

— დამშვიდდით, — უპასუხა მეორემ, — აი, ინებეთ ყუთი და თქვენ თვითონ ამოირჩიეთ პროთეზი, რომელიც მოგერგებათ, და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ.

პირველი მანქანის პატრონმა მართლაც ამოირჩია და მშვენივრად მოირგო ერთ-ერთი.

— მადლობელი ვარ, — თქვა მან, — რა კარგია, რომ კბილის ექიმს დავეჯახე!

— კბილის ექიმს? — გაუკვირდა მეორეს, — მე კბილის ექიმი არა ვარ, მესაფლავე გახლავარ!

* * *

თეატრში სპექტაკლის რეპეტიცია მიმდინარეობს. რეჟისორი მსახიობს უხსნის ამოცანას:

— შენ შემოხვალ სცენაზე და იტყვი: „მეწისქვილე ვარ!"

მსახიობი შემოდის სცენაზე, მარჯვენა ხელს ლენინივით გაიშვერს და წამოიძახებს:

— მეწისქვილე ვარ!

რეჟისორი:

— არა, არა! შენ ვერ გაიგე! უნდა შემოხვიდე და თქვა, რომ მეწისქვილე ხარ! ისე უნდა თქვა, რომ მაყურებელმა დაგიჯეროს.

მსახიობი გადის, შემოდის, გულზე ხელს მიიდებს და ხმამაღლა წარმოთქვამს:

— მეწისქვილე ვარ!!!

რეჟისორი (გამწარებით):

— რა ჩემი ფეხების მეწისქვილე ხარ! ისე უნდა თქვა, რომ მეც მივხვდე და დარბაზიც, რომ შენ მართლაც მეწისქვილე ხარ!

მსახიობი კვლავ გამოდის სცენაზე, თითქმის ტირის, გული ხელით უჭირავს, ფეხები ეკვეთება, მუხლებზე ვარდება და უსასოოდ წაილუღლუღებს:

— რა ჩემი ფეხების მეწისქვილე ვარ მე?!

რეჟისორი (აღფრთოვანებული):

— ბრავო!!!!


## განცხადება

2003 წლის 23 აპრილს, 12 საათზე მოწვეულია სს „საქტრანსპროექტის" შრომითი კოლექტივის სასამართლოს მიერ უფლებააღდგენილ აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი

სს „საქტრანსპროექტის" საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის და სააქციო საზოგადოების გაყოფის შესახებ.

სს „საქტრანსპროექტის"
საკოორდინაციო საბჭო.



სააქციო საზოგადოება „ბოლნისის ტუფის"
აქციონერთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „ბოლნისის ტუფის"

## განცხადება

გიწვევთ სააქციო საზოგადოება „ბოლნისის ტუფის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2003 წლის 22 აპრილს 15 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 39 ა, მე-14 სართული.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა.
2. საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

„ბოლნისის ტუფის" დირექცია.


## ხსოვნა

### მურმან კალანდაძე



გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს სპეცსამსახურების ერთ-ერთი პიონერი, მათი უანგარო და ერთგული მუშაკი, გენერალ-მაიორი **მურმან კალანდაძე**.

დაიბადა 1941 წლის 29 ოქტომბერს თბილისში. რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1963 წელს. 1968 წლიდან სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იწყებს მუშაობას.

უმაღლესი რანგის პროფესიონალი, იგი 1990 წლის ნოემბერში ინიშნება საქართველოს უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. 1991 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ ტოვებს სამსახურს და მხოლოდ 1992 წლის მაისში უბრუნდება საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს. იმავე წლის დეკემბერში ინიშნება ამ სამსახურის თავმჯდომარის მოადგილედ. 1993 წლის მაისში მიენიჭა გენერალ-მაიორის მაღალი სამხედრო წოდება. დაჯილდოებული იყო ორდენითა და მედლებით.

მ.კალანდაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრების და კოლეგების გულებში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

## რეპორტაჟი ბაზრიდან

# ღარიბი მეზობელი

## ნავთლუღის ბაზარი გაკოტრების პირზეა

**დღის 12 საათზე ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიუროს ოფისში შეკრებილმა ჟურნალისტებმა სპეციალისტებთან ერთად გეზი ნავთლუღის ბაზრისაკენ ავიღეთ (ბუნებრივია, შესამოწმებლად). როგორც ამ ბიუროს უფროსის მოადგილემ ბიძინა გრიგოლიამ გვითხრა, წინა კვირას ასეთივე შემოწმება ჩაუტარებიათ ერთ ე.წ. „დელერიაროვის ბაზარში", სადაც დარღვევები სკამდე გამოვლენებიათ და 1000 ლარის ჯარიმაც დაუკისრებიათ.**

**ამჯერად ვნახოთ, რას „დაიმსახურებს" ანტიმონოპოლიური სამსახურის დღევანდელი სტუმრობის შედეგად ნავთლუღის ბაზარი, რომელსაც ათეული წლებია სათავეში გამოცდილი სამეურნეო მუშაკი შოთა ოთიურიძე უდგას. მაგრამ ვიდრე დირექტორამდე მივაღწევდით, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი გადატვირთული გარემო დაგვხვდა, ავტომანქანებით კი არა, გზა ფეხითაც ძლივს გავიკვლიეთ.**

და აი, პროდუქტებით დახუნძლული „ქუჩის ბაზრობის" შემდეგ „ნამდვილი ბაზრის" ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. მივიხედ-მოვიხედეთ, დაბერებულ-დაჩანჩალებულ დახლებს თვალი შევავლეთ და მთელ ბაზარში თითო-ოროლა მოვაჭრის მეტი რომ ვერ დავლანდეთ, პირდაღებულები დავრჩით. იმ სიუხვის ფონზე, რაც ქუჩაში დახვავებულა, ბაზარი ნამდვილად ჰგავდა ღარიბ მეზობელს, რომელსაც ცხოვრებამ საარსებო გზები გადაუკეტა და ულუკმაპუროდ დატოვა.

— უკვე რამდენიმე წელიწადია, — ამბობს ბატონი შოთა ოთიურიძე, — ასეთ საუკუღმართოში ვეღებს ცხოვრება და საქმიანობა. პირდაპირ შეგვჭამა ამ ქუჩების ბაზრობამ, და არა მარტო ქუჩების, თვით ნავთლუღის რკინიგზის სადგურის ბაქანიც კი გადაავსეს მოვაჭრეებით. მთელი დღე მუშაობს მაფია, რათა დღეით ქუჩებში პროდუქტები უხვად დაიყაროს და მომხმარებელს მტვერითა და მანქანების გამონაბოლქვით შეზავებულ-შეკაზმული საკვები არ მოაკლდეს.

***— რატომ არის ბაზრის დახლები ასე დაცარიელებული და მოუვლელი?*** — ვკითხეთ მასპინძელს.

— სწორედ მაგიტომ, რომ გარე ვაჭრობამ მოვაჭრეებიც წაგვართვა და მომხმარებლებიც. ადრე თუ ყოველდღიურად ბაზარში 700-800 კაცი ვაჭრობდა, ახლა იმათგან ასიც აღარ დარჩა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში კატასტროფულად შეგვიმცირდა შემოსავალი, ვეღარც დახლებს ვახლებთ და ვეღარც სხვა რამეს. თქვენც ხედავთ, ბაზარი როგორ არის ჩამოხუნძლული.

***— ბიუჯეტში თუ რამე შეგაქვთ?***

— შეგვაქვს, მაგრამ ამ მხრივაც მეტ ვერ ვიკვეხნით. ადრე თუ ყოველთვიურად ბიუჯეტში 12-15 ათას ლარს ვრიცხავდით, ახლა 5 ათასამდე შემცირდა. თუ ბაზარი კვლავ დაუბრუნდება ძველ ყალიბს, ჩვენ შეგვიძლია საბიუჯეტო შემოსავლები 20 ათას ლარამდეც კი გავზარდოთ.

***— ქუჩაში მოვაჭრეებს რომ პირობები შეუქმნათ, ნუთუ ბაზარში არ შემოვლენ?***

— მეტი რა ვქნა, მე ლტოლვილებს უფასო მომსახურებაც კი შევთავაზე, მაგრამ მაინც არ შემოდიან.

***— რატომ?***

— გარეთ მეტს ვაჭრობენ და იმიტომ. ახლა ბაზარში ძირითადად ხორცისა და ყველის საყიდლად თუ ვინმე შემოვა, თორემ დანარჩენ პროდუქტებს ყველა გარეთ იძენს.

***— ალბათ, ქუჩაში გადასახადს არ ახდევინებენ.***

— როგორ გეკადრებათ, ბევრს იქ უფრო მეტს ახდევინებენ, მაგრამ ისევ ქუჩაში ვაჭრობას არჩევს, რადგან შემოსავალიც გაცილებით მეტი აქვს.

***— ხომ არ იცით, სად მიდის ის ფული, ქუჩაში მოვაჭრეებისგან რომ კრეფენ?***

— ყველამ კარგად იცის, სად მიდის (არ იბნევა დირექტორი), მაგრამ უბედურება ის არის, რომ გამკითხავი არ ჩანს...

ახლა იმის თაობაზე, თუ ბაზარში რა დარღვევები გამოვლინდა. პირველი, რაც თვალში ეცათ შემმოწმებლებს, ის არის, რომ ხორცისა და ყველის მოვაჭრეები სრულად არ არიან უზრუნველყოფილი სასწორებით და არც ყველას აცვია თეთრი ხალათი.

რა ვქნაო, წუწუნებს დირექტორი, არ გვაქვს იმდენი სახსრები, რომ ყველას სათითაო სასწორი დავუდგათ და გახამებული ხალათები ჩავაცვათო.

აქვე ვიტყვი, რომ ბაზარში არ შეგვხვედრია ზამბარიანი სასწორით მოვაჭრე, რაც დღევანდელ პირობებში მიღწევად უნდა ჩაითვალოს, არადა, დღეს ქუჩებში სულ ასეთი სასწორებით ვაჭრობენ, უფრო სწორედ, ატყუებენ მომხმარებლებს.

თუმცა, შემმოწმებლებმა, ამასთან ერთად, ისიც აღნიშნეს, რომ რომელიღაც კვერცხით მოვაჭრეს არ ჰქონდა ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, აგრეთვე, მწვანილის გამყიდველები უხალათოდ ვაჭრობდნენ. დირექტორს ისიც შეახსენეს, რომ ბაზარი ყოველდღიურად უნდა ირეცხებოდეს.

ამას ვერ შევძლებო, ისევ აწუწუნდა ბატონი შოთა, დაგვით ყოველდღე ვგვით, მაგრამ მორეცხვის თანხები სადა გვაქვსო, ისედაც თვეში 100 ლარი წყლის ხარჯს მიაქვს, 300 ლარი კი ნაგვის გატანასო.

ვეტლაბორატორიის მისამართითაც გამოითქვა შენიშვნები. ბაზარში თურმე 16-18 ვეტექიმი მუშაობს (როგორც აქ იხუმრეს ყოველ 5-6 მოვაჭრეზე ერთი ექიმი მოდის), მაგრამ მათ საქმიანობაში ნაკლი



მაინც არის. ხორცის ქვითრებს, მაგალითად, არ ჰქონდათ დასმული ნომრები, ამასთან, ქვითარზე აღნიშნავენ ვადის გაგრძელებას (ზოგი 4-5 დღესაც კი ვაჭრობს ერთი ქვითრით), რაც არასწორია.

მოვაჭრემ შეიძლება ბაზარში ახალი ხორცი შეიტანოს და ძველი ქვითრით ივაჭროს...

ყველა ეს და სხვა დარღვევა აღინუსხა აქტში, რომელიც ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლებმა შეადგინეს. იქვე ითქვა, რომ დირექტორს, საკუთარი სურვილით, შეუძლია 1000 ლარი ჯარიმა გადაიხადოს ან უარი თქვას და ჯარიმის სამართლიანობა სასამართლომ გადაწყვიტოს.

**არ ვიცი, სასამართლო რას გადაწყვეტს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ჩვენში დამკვიდრებულმა საბაზრო ქაოსმა ქუჩებში გაჩაღებული ყოვლად უგვანო ვაჭრობა მონოპოლისტად, ოფიციალური ბაზრები კი გერებად აქცია და კუდითრიკამდე გაატყავა. ასეთ მდგომარეობაშია ამჟამად ნავთლუღის ბაზარიც, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ხალხმრავლობითა და სიიაფით. არაჯანსაღმა კონკურენციამ, ფაქტობრივად, გააკოტრა ასეთი ბაზრები, ნულამდე დაიყვანა მათგან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები. სამაგიეროდ, გაივსო იმათი ჯიბეები, ვინც ქუჩაში მოვაჭრეთაგან უკანონოდ და უნამუსოდ ხვეტავენ ფულებს. ამის თაობაზე არაერთგზის დაიწერა ჩვენს გაზეთში და ქართული მასმედიის სხვა გამოცემებშიც, მაგრამ რეალობას სად გავექცევით — დღესდღეობით ფულის ძალა და პრესტიჟი სჭარბობს კალმისას.**

ოთარ ხუციშვილი.

სურათზე: ვაჭრობა ნავთლუღის ბაზარში.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

## სევდის ბაღს შეველ...

# იყო დამე ნისლიანი...

ევგენი ევტუშენკო 1965 წელს თბილისში გავიცანი. დეკემბრის ერთ საღამოს ნოდარ დუმბაძე, რეჟისორი თამაზ მელიავა, ოთარ ჭილაძე სასტუმრო „თბილისის" კაფეში ყავის დასალევად შევედით. საუბრისას ევგენი ევტუშენკო გაიხსენეს — ქენია თბილისშია ჩამოსული რუს მწერლებთან ერთადო. მისი პოეზიის ირგვლივ ცხარე კამათი დავიწყეთ.

ბიჭოს, ამ დროს ევტუშენკო კაფეში არ შემოვიდა!... მოვიპატიჟეთ. ყველას მოგვესალმა. — თავს ცუდად ვგრძნობ, მგონი სიცხე მაქვსო. „მშრალი ღვინო" მოატანინა. ერთ-ორი მომცრო ჭიქა შესვა და წამოდგა — ოპერაში ეჩქარებოდა. იმ საღამოს „კარმენში" მისი ნაცნობი სოლისტი მღეროდა.

ჩვენ კაფეში დავრჩით, ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ევგენი ისევ შემოგვიერთდა — „ვერ გავუძელი იმის საცოდაობას და გამოვიქეცი, თანაც, თქვენ აქ მეგულებოდით". უკეთეს განწყობილებაზე იყო, გვეხუმრებოდა, სხვათა ლექსებს კითხულობდა, განსაკუთრებით, სალტიკოვ-შჩედრინის პოეზიიდან.

იმხანად, ევტუშენკოს ერთი გახმაურებული ლექსი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა თბილისში, სიტყვა რომ ჩამოვუგდეთ, იუარა, იფიცებოდა, — არაფერი მაგდაგვარი არ დამიწერია საქართველოსა და ქართველებზე, ვინც მიწყობს ამას, მის კვალს მივაგენი და სულ მალე სიმართლეს გაიგებთო!

ცოტა ხანში წამოვიშალეთ. ნოდარ დუმბაძეს ეჩქარებოდა და წავიდა. დანარჩენებს შევთავაზე, „სამადლოზე" ხომ არ ავიდეთ-მეთქი. ბიჭები დამთანხმდნენ. ქენია უარზე იყო, გვიან არის, იქ არავინ იქნებაო. მაინც დავიყოლიეთ. წასვლამდე ნომერში ავიდა. ჩვენც ავყევით. სასტუმრო „თბილისის" ერთ პატარა ოთახში ყველგან წიგნები, ხელნაწერები, ჟურნალ-გაზეთები იყო მიმობნეული. ხილით და სიგარეტებით გაგვიმასპინძლდა, სომხეთიდან საჩუქრად ჩამოტანილი საბრძოლო რაკეტის მოდელიც გვაჩვენა. მერე ყურმილი აიღო, ჯერ ოთარის მეუღლეს ნანას დაურეკა, შემდეგ თამაზის ოჯახს შეეხმიანა, თან სთხოვა — თქვენი კაცები ჩემთან იქნებიან და თუ შეაგვიანდათ, ნუ შეშინდებითო.

ქუჩაში გამოვედით. სასტუმროს წინ ანსამბლ „რეროს" ხელმძღვანელი კოტიკა პევზნერი შეგვხვდა. მას თან სტუმარი ახლდა — მოსკოველი „პესენნიკი". ევგენი მას იცნობდა. „ესტრადის პოეტს" ეძახდა და ცოტა აგდებულადაც ესაუბრებოდა.

მანქანაში წინ სამნი დავსხედით: ევგენი, ოთარი და მე. დანარჩენები უკან მოთავსდნენ. შევყევით „სამადლოს" გზას. წყნეთს რომ გავცდით, ნისლი ჩამოწვა. ზემოთ და ზემოთ უფრო იმატა. ფანჯარაში თავგადაყოფილს მანქანა ძლივს მიმყავდა: ევტუშენკო ხუმრობდა, ხომ იცი, ვინ გიზის მანქანაში, ფრთხილად, რუსეთის „პირველი პოეტი" დასაღუპავად არ გაიმეტო!

„სამადლოში" მივედით. დახლიდარი გავაღვიძეთ, რესტორნის წინ მცხოვრები მეარღნე მიშაც მოვძებნეთ და მოვიყვანეთ.

— არ დავსხდეთ, ფეხზე ვიქეიფოთ! — გამოაცხადა თამადამ თამაზ მელიავამ. გაჩაღდა ლხინი. ევგენი ცოტას სვამდა, დრო და დრო განზე გადგებოდა და სიამოვნებით გვიყურებდა. ერთ საათში უკან გამოვბრუნდით. გზაზე ნისლი უფრო სქლად ჩამოწოლილიყო. ქენია გზის გაკვლევაში გვეხმარებოდა.

რის ვაი-ვაგლახით თბილისს ჩამოვაღწიეთ, პავლოვის ქუჩაზე რომ გამოვედით, ერთ სახლთან მანქანა განგებ შევაჩერე, — საწვავის უქონლობა მოვიმიზეზე. გაიკვირვეს! ნელა შევაპარე — აქვეა ჩემი სახლი და ცოტა ხნით ავიდეთ. ქენია გაჭირვეულდა. დავიღალე, დამასვენეთო. მაინც დავიყოლიეთ.

ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ამოიარეს კიბეები. ჩვენები გავაღვიძე, მეუღლეს სტუმრები გავაცანი... სამზარეულოში მაგიდაზე ათლიტრიანი ღვინის ბოცა შემოვდგი და სასმისებიც შევავსეთ. თამაზ მელიავა მოვისაკლისეთ. მალე შემოაღო კარი და მოგვიბოდიშა, ჩემს ნათესავებთან შევიარე, შენს მეზობელ მელიქოვებთანო!

— საიდან-სადაო, წმიდა საბაო?

— როგორ, მე მელიავა ვარ, ისინი — მელიქოვები!..

სტუმრებს ეზოში ჩამოვყევი. გაცილება შევთავაზე, არ ისურვეს — ტაქსი გააჩერეს. უკვე თენდებოდა. მშვიდობიანი დილა ვუსურვე ყველას.

როგორც გალაკტიონი ბრძანებდა:

„... იყო სალამი, იყო მშვიდობით...

ვაჰ, დრონი, დრონი!"

* * *

აი, ერთი ამონარიდი ჩემი დღიურიდან: 1966 წელს ნიკოლოზ ტიხონოვს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისათვის და მიკოლა ბაჟანს „ვეფხისტყაოსნის" თარგმანისთვის რუსთაველის პრემია მიენიჭათ.

იმავე წლის შემოდგომაზე ისინი ირაკლი აბაშიძის თანხლებით მატარებლით გამოემგზავრნენ სტალინის სახლის დასათვალიერებლად, ჩამოვიდნენ გორში, შემდეგ მანქანებში გადასხდნენ და თბილისისკენ გამოემართნენ.

ჩვენ, მეგობრების ერთმა ჯგუფმა — გიზო ბერაძემ, დათული დადიანმა, აჩიკო („ბაშმაკა") ჯაფარიძემ, გურამ („ტურკეცა") კალანდაძემ ვიცოდით ეს და სტუმრებს მცხეთაში შევეგებეთ. ბატონმა ირაკლიმ გაიხარა. „მარანში" შევუხვიეთ, ვისადილეთ და თბილისისკენ გამოვწიეთ.

საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგა დაჯილდოების ცერემონიალი.

საღამოს დამთავრების შემდეგ ირაკლი აბაშიძემ შინ მიგვიწვია. დიდებული სუფრა დაგვხვდა გაშლილი. შესანიშნავი, დაუვიწყარი საღამო იყო. სტუმრებმა ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენეს, შემდეგ სურათებიც გადავიღეთ.



აი, სწორედ იმ საღამოს ამსახველი ერთ-ერთი ფოტო: მეორე რიგში მარჯვენიდან დგანან: გიზო ბერაძე, ბესარიონ ჟღენტი, გოგუცა აგიაშვილი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მილიცა აბაშიძე, თამაზ ჭილაძე, გურამ გომართელი.

პირველ რიგში: მარცხნიდან — ირინა აბაშიძე, გულჩინა დადიანი, გურამ კალანდაძე, კირა ანდრონიკაშვილი, დათული დადიანი.

გურამ გომართელი.

**P. S. იმ წლების შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების დარად, საქართველოც დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. გადავიტანეთ სამოქალაქო ომი, აფხაზეთში ერთიანი საქართველოს დასაცავად უამრავი ქართველი ვაჟკაცის სისხლი დაიღვარა, მთელმა მსოფლიომ გაიცნობიერა, ვინ იყო ამ კონფლიქტის ინსპირატორი და წამქეზებელი, ვინ მიუსია ერთმანეთს ძმები... სამწუხაროდ, ეს ვერ გაიცნობიერა ზოგიერთმა რუსმა მწერალმა, მათ არ გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ამ თავსმოხვეული კონფლიქტის გამო, სიტყვა რა არის, სიტყვა არ დაუძრავთ, არავინ გამოხმაურებია აფხაზეთში ქართველების გენოციდს.**

**ქართველმა მწერლებმა (მათ შორის თამაზ და ოთარ ჭილაძეებმა) თავის დროზე, როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში, მთელი სიმკაცრით დაგმეს რუსი კოლეგების „მიყუჩება".**

**არც წყენა გაგვინელდება ადვილად. არადა, თუ რარიგ ვაფასებდით ერთმანეთს, სამაგალითოდ ეს მცირე პუბლიკაციებიც კმარა. ჰოდა მოდით, შევახსენოთ მტერსაც და მოყვარესაც, რომ ქართველი კაცის ერთ-ერთი სამაგალითო თვისება მიმტევებლობაა.**

გ. გ.



მეუღლე ამალია დოლიძე, შვილები გია, ინგა, დალილა ვაშაკიძეები, რძლები ეკა გურაშვილი, ლოიდა რევიშვილი, სიძეები მალხაზ ედიშერაშვილი, მამუკა ვაშაკიძე, გელა მესხი, და ნანი, შვილიშვილები ვაჩე, ნაკა, ავთანდილ, ბექარ ვაშაკიძეები, შაკო, გიორგი ედიშერაშვილები, ძმისწულები მანანა, მაია ვაშაკიძეები, დისწულები გოგა, გიგა მესხები, მძახლები ჯემალ და ლამარა ედიშერაშვილები, ნანა ვაშაკიძე, ომარ და ნინო გურაშვილები, ცოლისდა ნათელა, ცოლისძმა თემურ დოლიძეები, ქვისლი იური ჟღენტი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალეკო ბიძინას ძე ვაშაკიძე.

პანაშვიდი 3, 4 IV, 5 სთ. დაკრძალვა 5 IV, 3 სთ. ბოგვის ქუჩა 37. (სანზონა).

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილეს მამუკა ვაშაკიძეს სიმამრის

ალეკო ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ თემურ და შალვა პეტრიაშვილებს დედის

ჯულიეტა ანთაძე-პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი სამძიმარს უცხადებენ თემურ პეტრიაშვილს დედის, საზოგადო მოღვაწის

ჯულიეტა ანთაძე-პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---



დედა ზინა, მეუღლე ფლორა შენგელია, შვილები ინგა, ირინა, ირაკლი, შვილიშვილები ზურაბი, აკაკი, თამაზი, და ნუნუ, ძმა მურმანი, სიძეები ვასიკო დანელია, გია ძიძიგური, ძმისწულები, დისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ამბაკოს ძე ქარჩავა.

პანაშვიდი 3, 4 IV, დაკრძალვა 5 IV, 3 სთ. მუხიანი, მე-II მიკ/რ, 16 კორპუსი. მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული, ბინა № 34.

---



შპს „აღმშენებლის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საზოგადოების მომარაგების განყოფილების უფროსის

უშანგი პეტრეს ძე გაგვიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 3, 4 IV, 16 სთ. დაკრძალვა 5 IV, 2 სთ. თბილისი, პროლეტარის ქ. № 40.

---

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი თანაუგრძნობს აპარატის თანამშრომელს ინგა გაგვიშვილს მამის

უშანგი პეტრეს ძე გაგვიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შსს შინაგანი ჯარების სარდლობა და სამხედრო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონ შაქრო ბერიშვილის დედა

ალექსანდრა ბერიშვილი-ფიფია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ნათელა და გივი ფიფიები, შაქრო ბერიშვილი ოჯახებით იუწყებიან დედის

ალექსანდრა (შურა) ილარიონის ასულ ბერიშვილი-ფიფიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 3, 4 IV, 4 სთ. დაკრძალვა 5 IV, 2 სთ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. № 11, მე-4 სადარბაზო, მე-2 სართული.

---

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და კოლექტივი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უშიშროების ღვაწლმოსილი მუშაკი, საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, გენერალ-მაიორი

მურმან კალანდაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, გადამდგარი გენერალ-მაიორი

თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „მედფარმა პლუსის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მანანა ბერძენიშვილს შვილის

ნინო კვანტალიანის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლალი ახმეტელი, შვილი მანანა, შვილიშვილი ირაკლი არაყიშვილი, დები მზია, ნათელა გზირიშვილები, დისწულები გოგლა, დათო გურგენიძეები, სანდრო, თამრიკო, ქეთინო, ნინო კერესელიძეები, თენგიზ ახმეტელი, მანანა ყიფიანი, ქეთი, ლალი ახმეტელები, კოკა ფრუიძე, დეიდაშვილები დალი, გულიკო სიხარულიძეები, ამირან წეროძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსანდრეს ძე

გზირიშვილი.

პანაშვიდი 4, 5 IV 5 სთ. გამოსვენება 6 IV 3 სთ. თარხნიშვილის 27.

---

შვილები ვანო, თენგიზი, ლერი, რძლები ლენა, ქეთინო, ლილი, დისწულები, ძმისწული, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენია სერგოს ასული ბელიაევა-ქებულაძე.

პანაშვიდი 3, 4 IV, 5 სთ. გამოსვენება 5 IV, 2 სთ., თარხნიშვილის № 16.

---

შპს საპროექტო-ტექნოლოგიური ბიუროს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბიუროს დირექტორს თენგიზ ქებულაძეს დედის

ევგენია ქებულაძის

გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.